ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 9 მარტი 2005 №51 (2374) ფასი 50 თეთრი


## ქინქლაძე ცნობილია

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში 26 და 30 მარტს საბერძნეთს და თურქეთს უმასპინძლებს. ამ მატჩებისთვის გამოძახებულ ფეხბურთელთა სრული სია ჯერ არ დადგენილა, თუმცა ნაკრების ფრანგმა მწვრთნელმა ალენ ჟირესმა რამდენიმე მოთამაშეს უკვე გაუგზავნა მოწვევა, რომელთა შორის არის გიორგი ქინქლაძეც, ვინც ჟირესის ხელში პირველად 9 თებერვალს ითამაშა ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში.



## საბერძნეთი და თურქეთი ძვირია

ხმაური ბილეთის ფასის გამო

4



## შევჩენკო თითქმის მზადაა

უკრაინელმა ტრავმა მოიშუშა

8

# სპექტაკლი სტემფორდ ბრიჯზე

## წელში გამართული ჩელსი 4
## ბარსა დაითარსა 2



REUTERS

# უკანდახევა გამორიცხულია

## თურქეთზე ფიქრს საბერძნეთზე ფიქრი ჯობია

რუსეთის ჩემპიონობა, თანამეგობრობის თასი და სუპერთასი — ეს ის ტიტულებია, საქართველოს ნაკრების ლიდერმა მალხაზ ასათიანმა მოსკოვის „ლოკომოტივში" გატარებულ ორ სეზონში რომ მოიგო.

რკინიგზელთა ქართველი ფეხბურთელის პოპულარობა მოსკოვში დღითი-დღე რომ იზრდება, გროზნოს „ტერეკთან" სუპერთასისწინა ამბებიც ადასტურებს: კუნთმტკივან ასათიანს წესით, არ უნდა ეთამაშა, თუმც „ლოკომოტივის" თავკაც იური სიომინის თხოვნას გვერდი ვერ აუარა და...

სიომინს ასათიანის თამაშის აუცილებლობა არც დაუმალავს: „სხვა ტრავმირებულებთან ერთად მალხაზის თამაშიც საეჭვოა, რაც ჩვენთვის უდიდესი დანაკლისია. იმედი მაქვს, ასათიანი მალე მომჯობინდება". ვფიქრობ, ეს სიტყვები ჩვენს კომენტარს აღარ საჭიროებს.

ერთი სიტყვით, ორიოდ დღის წინ „ლოკომოტივმა" სუპერთასზე 1:0 მოუგო „ტერეკს", ასათიანმა კი სრულად ითამაშა და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო მოედანზე.

იხილეთ მესამე გვერდი



# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონდონი. „სტემფორდ ბრიჯი". 41 515 მაყურებელი

## ჩელსი 4:2 ბარსელონა (1:2)

1:0 გუდიონსენი (8), 2:0 ლამპარდი (17), 3:0 დაფი (19),
3:1, 3:2 რონალდინიო (27პ, 38), 4:2 ტერი (76)

| ჩელსი | ბარსელონა |
|---|---|
| ჩეხი, პ. ფერეირა (ჯონსონი 51), ტერი, რ. კარვალიუ, გალასი, კეჟმანი, მაკელელე, ლამპარდი, ჯ. კოული, დაფი (ჰათი 86), გუდიონსენი (ტიაგუ 79) | ვ. ვალდესი, ბელეტი (ჟიული 84), პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი (სილვინიო 46), ხავი, ხერარდი, ინიესტა (მაქსი ლოპესი 86), დეკო, რონალდინიო, ეტოო |
| მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ | მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი |

გაფრთხილება: ფერეირა (26), ვან ბრონკჰორსტი (29), ხავი (68), კეჟმანი (83), ჯონსონი (84)
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

**დიდი ხანია** მაღალი კლასის ფეხბურთით განებივრებულ გულშემატკივარს ასეთი შეხვედრა არ უნახავს. კლასი კლასად და დრამატული, ემოციური მატჩი იყო. რა კომპონენტი გნებავთ, გუნდური თამაში, ინდივიდუალური დიდოსტატობა, გოლები, იმედისა და სიხარულის თუ მწუხარების ესტაფეტა... ყველაფერი იყო ლონდონის „სტემფორდ ბრიჯზე", სადაც ძალიან დიდი სპექტაკლი გაიმართა.

შეგახსენებთ, რომ პირველი შეხვედრის ანგარიში გახლდათ 2:1 „ბარსას" სასარგებლოდ, რაც საპასუხო მატჩში იმთავითვე ლონდონელების აქტიურობას და შეტევებს ითხოვდა. ასეც მოხდა. „ჩელსიმ" შეუტია და იმ სკეპტიკოსებს, რომელთაც ჟოზე მაურინიუ მხოლოდ კონტრშეტევების მომწყობ მწვრთნელად მიაჩნიათ, დაუმტკიცა, რომ დაწინაურებაც ძალიან კარგად ეხერხება.

მერედა დაწინაურება და თან როგორი — შეხვედრის დაწყებიდან 19 წუთში ტაბლოზე უკვე 3:0 ეწერა მასპინძლების სასარგებლოდ. გოლები გაიტანეს ეიდურ გუდიონსენმა, ფრენკ ლამპარდმა და დემიენ დაფმა. რა მოუვიდოდა ასეთი სტარტის შემდეგ გუნდების უმეტესობას? ბუნებრივია, გატყდებოდა, მაგრამ „ბარსა" ზეგუნდია და ამიტომ პირველი ტაიმი 3:2 დასრულდა. სტუმრებმა ჯერ პენალტით შეამცირეს სხვაობა, ხოლო შემდეგ რონალდინიომ (პენალტით შეგდებული გოლის ავტორმა) არც მეტი, არც ნაკლები ახდენილ ზღაპარში შესაძლებელი გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმიც არანაკლებ სასეირო და ემოციური, მომენტებით გადატვირთული იყო, გოლი კი ერთადერთი, სტუმრების კარში შევარდა — ლონდონელთა კაპიტანმა ჯონ ტერიმ შორიდან თავით შეაგდო კატალონიელების ბადეში.




REUTERS ფოტო



REUTERS ფოტო

მილანი. „სან სირო". 78 957 მაყურებელი

## მილანი 1:0 მანჩესტერი (1:0)

1:0 კრესპო (61)

| მილანი | მანჩესტერი |
|---|---|
| დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, სტამი, გატუზო (კოსტაკურტა 89), პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა (დორასო 85), კაკა, კრესპო (ამბროზინი 78) | ჰოვარდი, ბრაუნი (სმიტი 85), ფერდინანდი, სილვესტრი, ჰაინცე, კ. რონალდო, კინი, სქოულზი, ვან ნისტელროი, გიგზი (ფორჩუნი 57), რუნი |
| მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი | მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი |

გაფრთხილება: ფორჩუნი (58)
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

**„სან სიროზე"** „მილანმა" „მანჩესტერ იუნაიტედი" არგენტინელი თავდამსხმელის, ერნან კრესპოს გოლით დაამარცხა.

შეგახსენებთ, ერნან კრესპო სწორედ ის ფეხბურთელია, რომელმაც ორი კვირის წინ, მანჩესტერშიც გაიტანა გოლი და ისიც ერთადერთი იყო იმ შეხვედრაში. ამჯერად არგენტინელმა მეორე ტაიმში კაფუს ჩაწოდებულ ბურთს დაარტყა თავური.

„ასეთი დონის მატჩებში ყველაფერს ერთი გოლი წყვეტს და კრესპომაც ფანტასტიკური გოლი გაგვიტანა, — განაცხადა მატჩის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა.

„ძალიან ბედნიერი ვარ. მეტისმეტად სახიფათო მატჩი იყო და დიდი სიფრთხილე გვმართებდა" — დასძინა გოლის ავტორმა.

საქართველოს ნაკრების კაპიტნის, კახა კალაძის ტრავმის გამო „მილანი" იძულებული იყო დაცვა გადაეხალისებინა — მარცხენა ფრთას პაოლო მალდინი დაუბრუნდა, ცენტრში კი ალესანდრო ნესტას ყოფილი მანჩესტერელი იაპ სტამი შეუწყვილდა.

ამ შეხვედრაში სახიფათო მომენტები ორივე კართან იქმნებოდა.

ლიონი. „სტად ჟერლანი". 37 000 მაყურებელი

## ლიონი 7:2 ვერდერი (3:0)

1:0 ვილტორდი (8), 2:0, 3:0 ესიენი (17, 30), 3:1 მიკუ (32), 4:1 ვილტორდი (55),
4:2 ისმაელი (57პ), 5:2 მალუდა (60), 6:2 ვილტორდი (64), 7:2 ბერტოდი (80პ)

| ლიონი | ვერდერი |
|---|---|
| კუპე, ლ. დიატა, კრისი (კლემენი 62), ესიენი, აბიდალი, ბერტოდი, მ. დიარა, ჟუნინიო, გოვუ, ვილტორდი (ნილმარი 68), მალუდა | რაინკე, სტალტერი (დავალა 76), ისმაელი, ბაუმანი, პასანენი, კლასნიჩი (ფარენჰორსტი 69), მანინი, ერნსტი, მიკუ, კლოზე, ნ. ვალდესი |
| მწვრთნელი: პოლ ლე გუენი | მწვრთნელი: თომას შააფი |

გაფრთხილება: ბერტოდი (34), კლასნიჩი (34), მალუდა (65), ვალდესი (65)
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

**„ლიონი"** მეოთხედფინალში ძალიან ეფექტურად, დიდი ბუკითა და ნაღარით გავიდა. ფრანგებმა გერმანიის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, „ვერდერი", 7:2 გაანადგურეს.

სამი გოლი საფრანგეთის ნაკრებში თამაშით ცნობილმა სილვენ ვილტორდმა გაიტანა, ორი მიკაელ ესიენმა, ხოლო თითო ფლორენ მალუდამ და ჟერემი ბერტოდმა.

### ინგლისი

ჩემპიონატი
გადადებული მატჩები
უოტფორდი 0:2 ნოტინგემი
ბარნლი 0:0 ლესტერი
შეფილდი 4:0 ძრიუ

პირველი ლიგა
გადადებული მატჩები
ბორნმუთი 2:3 ბლეკპული
პორტ ვეილი 0:0 კოლჩესტერი
ჰალი 1:0 ჰარტლპული

მეორე ლიგა
გადადებული მატჩი
როჩდეილი 1:0 ნორთჰემპტონი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩები
ტემუორთი 2:2 ჰერეფორდი
კარლაილი 3:0 ლეი
მორეკემბი 0:0 ალდერშოტი
ბარტონი 0:1 უოკინგი
გრეივსენდი 0:3 ჰალიფაქსი

LDV VANS TROPHY
ნახევარფინალი
საუთენდი 2:2 როვერსი
რექსემი 1:0 ოლდემი

### შოტლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები
ერდრი 1:0 ჰამილტონი
კლაიდი 0:0 სენტ მირენი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები
ალოა 1:1 სტირლინგი
ფორფარი 2:0 მორტონი

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩები
ალბიონი 1:1 სტენჰაუზმური
ისტ სტირლინგი 0:4 გრეტნა
ელგინი 2:2 პიტერჰედი

### ავსტრია

პირველი დივიზიონი
XXII ტური
კერნტენი 4:0 ვიორგლი
აუსტრია (ლ) 3:2 უნტერზიბენბრუნი
ლინცერი 1:1 კაპფენბერგი
გრატკორნი 0:0 ალტახი
ლეობენი — რიდი გადაიდო

### ხორვატია

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები
ზაგრები 1:0 ჰაიდუკი
რიეკა 1:1 სლავენი

### ბელგია

იუპილერლიგა
XXIV ტური
ანდერლეხტი 3:0 შარლერუა
გენტი 1:0 მუსკრონი

### გერმანია

ჩრდილოეთ
რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები
ჰერტა (მ) — დორტმუნდი (მ)
გადაიდო
კილი — პადერბორნი
გადაიდო

# რუსეთს ტემპი სჭირდება
## ლადო ბურდულის ერთი ტაიმი

*ხუთი ქართველის ვლადიკავკაზის „ალანიამ“ რუსული სეზონი შინ წაგებით დაიწყო. გუშინწინ ოსეთს რუსეთის პირველდივიზიონელი „ხიმკი“ ესტუმრა და თასის მერვედფინალის პირველ მატჩში მასპინძლებს 2:0 აჯობა. სხვათა შორის, თავისი წილი ქართველი „ხიმკისაც“ ჰყავს — საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლომაია, რომელიც „ალანიასთან“ სათადარიგო იყო. ძირითადში კი ქართველები „ალანიას“ მაისურით თამაშობდნენ — ჯაბა კანკავამ მოედანზე 90 წუთი დაჰყო, ხოლო ლადო ბურდული შესვენებაზე შეცვალეს. ითამაშა ვიტალი დარასელიამაც, ოღონდ მეორე ტაიმში და მეტოქეს პრობლემა არ დააკლო. დავით კვირკველია ტრავმირებული იყო, ლევან გვაზავა კი „ალანიამ“ ტრანსფერზე დააყენა...*




ერთი სიტყვით, „ალანია“ — „ხიმკი“ ისეთი შეხვედრა გახლდათ, შეიძლებოდა ერთბაშად ექვს ქართველსაც ეთამაშა... მათგან აღსანიშნი კი ლადო ბურდულია, ვინც ახლახანს დიდი ოჯახური ტრაგედია გადაიტანა, თუმც, ამის მიუხედავად, ლადომ თავს ძალა დაატანა და ჩვენი რუსი კოლეგების თქმით, „ხიმკისთან“ ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

— გაკვირვებული დარჩი, როცა შესვენებაზე მწვრთნელმა ბახვა თედეევმა შემცვალა, არადა, მატჩის შემდეგ თავადვე თქვა, ბურდულით ძალიან კმაყოფილი დავრჩიო. ვფიქრობ, მართლაც ნორმალურად ვითამაშე, თედეევმა კი რატომ დამასვენა, არ ვიცი — გვითხრა ლადო ბურდულმა, როცა ვლადიკავკაზში დავუკავშირდით — მწვრთნელს ეტყობა, რაღაც ტაქტიკური ჩანაფიქრი ჰქონდა, მაგრამ არ გაუმართლა.

— მართალია, ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ რუსული ფეხბურთის ერთი ტაიმი უკვე ითამაშე. გაგიჭირდა?

— გაჭირვებით არ გამჭირვებია, მაგრამ დავრწმუნდი, რომ საქართველოს ჩემპიონატიდან პირდაპირ რუსეთში თამაში ძალიან ძნელია.

— **ფიზიკურ მომზადებას გულისხმობ?**

— „ალანიაში“ ქართველებს ფიზიკურად არ გვიჭირს, რადგანაც გუნდთან ერთად ერთი თვე ვემზადებოდით. ქართველისთვის ძნელი იქნება, რომ აქაურ ტემპს აჰყვეს. ჯერ „ხიმკი“ რა გუნდია, პირველ დივიზიონში თამაშობს, მაგრამ ისეთი ტემპიანი თამაში იყო, საქართველოს ჩემპიონატში არც მახსოვს. მეტოქე ბურთის მიღებას არ გაცლის, ოდნავ თუ შეყოვნდი, ფეხს წაგაცლიან, მგლებივით დაგეშილები არიან.

— ისე, პირველი დივიზიონის გუნდთან შინ თუ წააგეთ, პრემიერლიგაში თამაში უფრო გაგიჭირდებათ.

— ვფიქრობ, დღევანდელ „ალანიას“ აქვს იმის ძალა, რომ პრემიერლიგის ათეულში იტრიალოს და გავარდნის პირას არ იყოს. ჯერ მაინც ახალშექმნილი გუნდი გვყავს და „ხიმკისთან“ შეუთამაშებლობა აშკარად გვეტყობოდა. ცოტა დრო გვჭირდება და ჩვენი ნაღდი ძალაც ნელ-ნელა გამოჩნდება. „ალანიაში“ დღეს მაღალი დონის ფეხბურთელები არიან, თუმც „ხიმკისთან“ ექვსი ფეხბურთელი გვაკლდა. კლუბმა მათი განაცხადში შეყვანა აქამდე ვერ მოახერხა. ჩემპიონატის დაწყებამდე კი ეს ბიჭებიც დაგვემატებიან. სხვათა შორის, წლეულს რუსეთის ჩემპიონატისგან ისეთ დონეს ელიან, აქამდე რომ არ ყოფილა. ოთხი-ხუთი გუნდია, ჩემპიონობისთვის რეალური ბრძოლა რომ შეუძლიათ, არც აუტსაიდერები არიან გამოკვეთილნი. თანაც ახლა რუსეთში ძალიან ბევრი ლეგიონერია, მათი უმეტესობა კი თავიანთი ქვეყნის ნაკრებებში თამაშობს.

— **როგორ ატყობ, „ალანიას“ ქართველები ყველა ძირითადში ითამაშებთ?**

— ვერ გეტყვი, ვნახოთ. ისე კი, ბახვა თედეევი და სხვა მწვრთნელებიც ქართველებს კარგი თვალით გვიყურებენ და ჩვენს ქებაში არიან. თუმც გუნდში დიდი კონკურენციაა, 30 ფეხბურთელია... ერთი თამაში თუ ჩააგდე, ძირითადში დასაბრუნებლად ლოდინი კარგა ხანს მოგიწევს.

— **ლევან გვაზავამ გუნდი უკვე დატოვა?**

— არა, ჯერ ჩვენთანაა, მაგრამ „ალანიას“ ის ტრანსფერზე ჰყავს და დარჩება თუ არა გუნდში, ვერ გეტყვი.

— **მოკლედ, სეზონი დაიწყეთ. შაბათს, სამარაში „კრილია სოვეტოვთან“ ჩემპიონატის პირველი მატჩი გაქვთ...**

— 12-ში ვიწყებთ, მაგრამ „კრილიასთან“ მე არ ვითამაშებ. ორი დღით თბილისში უნდა ჩამოვიდე. „ალანიას“ სანკტ პეტერბურგში შევუერთდები, მეორე მატჩი „ზენიტთან“ გვაქვს და იქ, ალბათ, ვითამაშებ კიდეც.

**ქოგა ინასარიძე**




*მოახლოვებული სანაკრებო მატჩების წინ „ასატას“ ჯანმრთელობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ქართველი გულშემატკივრისთვის. საერთოდაც, ვფიქრობთ, საინტერესოა, რა მდგომარეობაა ახლა „ლოკომოტივში“, რა მიზნებს ისახავს ეს გუნდი ახალ სეზონში... მალხაზთან საუბარი სუპერთასით დავიწყეთ და სხვა არანაკლებ საინტერესო თემებსაც შევეხეთ...*

# უკანდახევა გამორიცხულია
## თურქეთზე ფიქრს საბერძნეთზე ფიქრი ჯობია

— გუნდში შესანიშნავი განწყობაა. სეზონი სუპერთასის მოგებით დავიწყეთ და ამაზე უკეთესს ვერც ვინატრებდით. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის, რაც ფეხბურთელებსაც გვახარებს, მწვრთნელ-ხელმძღვანელებსაც და გულშემატკივრებსაც.

— **„ტერეკმა“ გვარიანი წინააღმდეგობა კი გაგიწიათ...**

— ძალიან დაძაბული თამაში იყო და თავიდანვე დავრწმუნდით, რომ იოლი მეტოქე გვყავდა. საბედნიეროდ, მოვიგეთ და მაგრადაც გავიხარეთ.

— **წლეულს უკვე ორი თასი აიღეთ: თანამეგობრობის და აგერ, ახლა რუსეთის სუპერთასი...**

— ასევე უნდა გავაგრძელოთ. კლუბის ხელმძღვანელობა ჩვენგან სხვანაირ შედეგს არც ელოდა.

— **ახალ სეზონში კიდევ რას გეგმავთ?**

— ჩემპიონობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ეს „ლოკომოტივის“ მთავარი მიზანია. დიდ ყურადღებას ვაქცევთ ჩემპიონთა ლიგასაც — ჯგუფში აუცილებლად უნდა მოვხვდეთ, დანარჩენი მერე გამოჩნდება.

— **ამბობდნენ, ასატიანი „ტერეკთან“ მატჩს ტრავმის გამო გამოტოვებსო...**

— დიდი შანსი იყო, ასეც მომხდარიყო, მაგრამ ბოლოს გადაწყდა, რომ ვითამაშებდი.

— **ახლა როგორ გაქვს ფეხი?**

— ცოტათი კიდევ მაწუხებს, მაგრამ საშიში არაფერია. ზოგჯერ ვარჯიშზე ბოლომდე არც ვიტვირთები, თუმც ექიმები მეუბნებიან, რომ ტკივილები მალე გაივლის.

— **წინა სეზონში რამდენიმე მატჩი რომ გაგიცდა, მაშინაც ეგ ფეხი გაწუხებდა?**

— არა, ახლა ზედა კუნთი მტკივა. მაშინ სხვა ტრავმა მქონდა.

— **„ლოკომოტივმა“ შეკრებები ახლახან დაასრულა და როგორ ფორმაში ხარ?**

— ამ ეტაპზე უკმაყოფილო ნაღდად არ ვარ. მარტის ბოლომდე კიდევ უნდა მოვუმატო.

— **მარტის ბოლოს საქართველოს ნაკრებს ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი ექნება საბერძნეთთან და თურქეთთან...**

— უძნელესი თამაშები გველის. მეტი რა ვთქვა, ყველამ იცის, საბერძნეთი და თურქეთი რა დონის გუნდებიცაა, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს. უკანდახევა გამორიცხულია.

— **თამაშები ოთხდღიან ინტერვალში რომ არის, კარგია თუ ცუდი?**

— ამით გადაღლილობის შანსი მართლა არსებობს, მაგრამ მთავარია, პირველი თამაში მოვიგოთ და მერე სხვანაირი მუხტი გვექნება. თურქებზე ფიქრს ჯობია, ჯერ საბერძნეთზე ვიფიქროთ.

**ქახა შალამბერიძე**

## თქვენი ინტერვიუ
## ზურაბ ხიზანიშვილთან
**«რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია**



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**

*რუბრიკის მესამე რესპონდენტი ლევან კობიაშვილისა და შოთა არველაძის შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილი გახლავთ, ეროვნული ნაკრების მესამე თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი, ვისაც ალენ ჟირესმა 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში კაპიტნის სამკლავურიც კი ანდო.*

*ახალგაზრდა უცოლო კაცის გლაზგოური ცხოვრების დეტალები შესაკითხად ალბათ იქით იქნება, ხოლო აქეთ უფრო ვინძლო საფეხბურთო კითხვები წამოვა.*

*მოკლედ, იაქტიურეთ და კითხვები 18 მარტამდე მოგვაწოდეთ, ხოლო „თქვენს ინტერვიუს“ ხიზანიშვილთან არაუგვიანეს 23 მარტისა იხილავთ.*

# დავით ყიფიანის თასი

## მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

ზესტაფონი. 8 მარტი. 14 საათი. ცენტრალური. 10 000 (ტევადობა 10 000)

**ზესტაფონი 1:0 ბათუმი (0:0)**

| | |
|---|---|
| 1:0 ჩხეტიანი (85) | |
| ზესტაფონი: ქვარხია, ჩიკვილაძე, შ. ღონღაძე, ს. თოდუა, ზირაქიშვილი, ნუდნი (ბ. გოცირიძე 44; სულაკაძე 67), ძამსაშვილი, შავგულიძე (გურჩუა 72), თურმანიძე, კ. ჩხეტიანი, იონანიძე სათადარიგონი: ბზიკაძე, ბესარაშვილი, განუგრავა, კვერნაძე მწვრთნელი: თემურ მახარაძე | ბათუმი: სოლოლაშვილი, ი. მახარაძე, ბეგლარ თედორაძე, გუშარაშვილი (გ. მანწკავა 76), გალოგრე, ხუჯაძე, ბესო თედორაძე, ცანავა (ღლონტი 88), ლ. ხმალაძე, ხარაზი (დარჩიძე 71), ხომერიკი სათადარიგონი: ი. ბალაძე, ბ. ჩოხელი, დუმბაძე, გოგიშვილი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე |
| გაფრთხილება: ღონღაძე (29), ცანავა (39), ჩიკვილაძე (89) | |
| მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ა. სამხარაძე (სოხუმი); ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ინსპექტორი: ს. კვარაცხელია | |

# კვლავ მსაჯობა და საჩუქარი ზესტაფონელ ქალებს

**დავით თავართქილაძე**
ზესტაფონიდან

მატჩის დაწყებამდე სტადიონის დიქტორმა 8 მარტი მიულოცა ქალებს და ისიც დასძინა, ამ დღეს განსაკუთრებით „ზესტაფონის" მანდილოსან ქომაგებს ვულოცავთო.

ზესტაფონში მართლაც ყველა სტადიონზე იყო — კაცი, ქალი, ბავშვი და „ზესტაფონმაც" გემრიელი გამარჯვება მოიპოვა.

ნაწვიმარ, ატალახებულ მინდორზე ქვიშა მოეყარათ, მაგრამ ამას ფეხბურთელებისთვის მაინც არ მიუცია ნორმალური თამაშის საშუალება — ასეთი მოედანზე უნდა იბრძოლო, იჭიდავო და, აკი, ასეც მოხდა.

„ბათუმმა" მედგარი წინააღმდეგობა გაუწია „ზესტაფონს", აჭარლები ძალიან მობილურად თამაშობდნენ, დაცვაში არ იჯდნენ და, როგორც კი საშუალება მიეცემოდათ, უტევდნენ.

გამოჩნდა, რომ „ზესტაფონი" მეტოქეზე უკეთაა მომზადებული, უფრო მხნედ გამოიყურებოდა და ალბათ ეს იყო გადამწყვეტი ფაქტორი ნახევარფინალის საგზურისთვის, თუმც გოლს კამათი მოჰყვა...

„ზესტაფონმა" მეტოქეს ტემპიანი, აგრესიული თამაში შესთავაზა, მაგრამ პირველ ტაიმში ღირებული არაფერი შეუქმნია. გულშემატკივართა უკმაყოფილება გამოიწვია სალსალამათი სერგეი ნუდნის ადრეულმა შეცვლამ. ნუდნი ბურთს ხანდახან ზედმეტად კი ათრევდა, მაგრამ რამდენჯერმე თამაშის გამწვავებაც მოახერხა. მოკლედ, თემურ მახარაძე რისკზე წავიდა და ქომაგთა ჯილა 16 წლის ბექა გოცირიძეთი შეცვალა. ისე, ცოტა უცნაური იყო ზურაბ იონანიძის პოზიციაც — ის, ფაქტობრივად, მარცხენა გარემარბი გახლდათ.

შესვენების შემდეგ მახარაძემ ერთი უცნაური სვლაც გააკეთა — ფორვარდი ზაზა ზირაქიშვილი გამთამაშებლად გადასწია, ხოლო თავდასხმაში იონანიძე-გოცირიძე გაამწესა.

მეორე ტაიმში „ზესტაფონი" უფრო შლეგად ათამაშდა. ზურაბ ძამსაშვილმა ოდნავ ააცილა, შემდეგ ზირაქიშვილი შეეცადა რთული მდგომარეობიდან გატანას და ისიც სიზუსტემ დაალალატა.

გაპლეიმეიკერებულმა ზირაქიშვილმა მარცხენა ფლანგიდან კარგად ჩაუწოდა გოცირიძეს, ვისი თავურიც ძლიერი არ გამოდგა და მეკარემ ხელებში გააქვავა ბურთი.

„ზესტაფონმა" კიდევ უფრო მოუმატა აგრესიას და იონანიძეც ათამაშდა. მალე რეალური საგოლე მომენტიც შეიქმნა — იონანიძემ ჩინებულად დაუგდო ბურთი გოცირიძეს, მაგრამ ჯეელმა ზესტაფონელმა, რომელსაც არავინ უშლიდა ხელს, 13-14 მეტრიდან ხარიხას გადააცილა.

და გოლი: ვალტერ გურჩუას ხელზე შემთხვევით მოხვდა ბურთი, მერე ჩააწოდა და ბათუმელ გიორგი მანწკავასაც უნებლიედ გაშლილ მკლავში მოხვდა მრგვალი საგანი. არბიტრმა ალექსანდრე შილაკაძემ ჯარიმა დანიშნა, რომელიც კახა ჩხეტიანმა კი არ ჩააწოდა, სოლოლაშვილის შორეულ ცხრიანში გაგზავნა.

ნამატჩევს ბათუმელთა თავკაცი ამირან გოგიტიძე უკმაყოფილო იყო, გურჩუაზე არდანიშნულ ჯარიმას რომ თავი გავანებოთ, ჩხეტიანის დარტყმის შემდეგ მეკარეზე იყო თავდასხმაო.

თემურ მახარაძემ კი თავის ფეხბურთელებს, მადლობას გადაუხადა.

# საბერძნეთი და თურქეთი ძვირია — 20, 40, 50

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციამ 26 და 30 მარტის შესარჩევი მატჩების ბილეთების ფასები დაადგინა და უახლოეს დღეებში გაყიდვასაც დაიწყებს.

მოგეხსენებათ, ჩვენი ნაკრები თვის ბოლოს, შეიძლება ითქვას, შესარჩევი ჯგუფის გადამწყვეტ, უმნიშვნელოვანეს მატჩებში, „ლოკომოტივის" სტადიონზე ჯერ საბერძნეთს, მერე თურქეთს უმასპინძლებს.

ფედერაციის გადაწყვეტილებით დასავლეთ და აღმოსავლეთ ტრიბუნებზე ბილეთი 50 და 40 ლარი ეღირება, კარებს უკან — 20 ლარი. ბილეთების ღირებულება, ალბათ, გეძვირებათ, მაგრამ ფედერაციამ ასე თქვა და სჯობს, ამ ფულის შეგროვებაზე ფიქრი ახლავე დაიწყოთ.

ისე კი, ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა დღეს, ნაშუადღევს, ბილეთების სიძვირის გამო ჭადრაკის სასახლეში შეკრებას აპირებს. ლიგა ფედერაციას გადაწყვეტილების გადახედვის თაობაზე მიმართავს.

**ბოგა ინასარიძე**

# დინამო და თბილისი კიბეებზე ადიან

**მსოფლიოს** ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის გამოთვლებით, 2004 წლის 1 მარტიდან 2005 წლის 28 თებერვლის ჩათვლით მიღწეული შედეგებით, პლანეტის საუკეთესო კლუბი ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედია". ინგლისელებმა 3 ქულით გაუსწრესს წინა თვის საუკეთესო არგენტინულ „ბოკა ხუნიორსს".

სასიამოვნოა, რომ მსოფლიოს ტოპ-350 გუნდს შორის კვლავაც ნებივრობენ ქართული კლუბები — თბილისის „დინამო" და „თბილისი". გია გეგუჩაძის გუნდმა იანვრის შედეგი თერთმეტი საფეხურით გააუმჯობესა და ახლა 167-ე ადგილზეა, რაც „დინამოსთვის" საუკეთესო მაჩვენებელია ამ ფედერაციის რეიტინგ-სიაში.

ოდნავ მცირე, შვიდსაფეხურიანი ნახტომი გააკეთა „თბილისმა" — 276-ე ადგილიდან 269-ეზე აიწია.

ცხრილში საუკეთესო ოცეულის და ქართული კლუბების გარდა, ტრადიციისამებრ, ქართველი ლეგიონერების კლუბების მაჩვენებლებსაც გთავაზობთ.

მომდევნო რეიტინგი კი 1 აპრილს გამოქვეყნდება, რასაც ოპერატიულად შემოგთავაზებთ.

**კახა შალამბერიძე**

## მსოფლიოს 350 საუკეთესო კლუბი

2004 წლის 1 მარტი - 2005 წლის 28 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (2) | **მანჩესტერი** (ინგლისი) | 277,0 |
| 2 | (1) | **ბოკა ხუნიორსი** (არგენტინა) | 274,0 |
| 3 | (10) | **ნიუკასლი** (ინგლისი) | 267,0 |
| 4 | (4) | **ვალენსია** (ესპანეთი) | 250,0 |
| 5 | (12) | **ვილიარეალი** (ესპანეთი) | 247,0 |
| 6 | (3) | **მონაკო** (საფრანგეთი) | 243,0 |
| | (16) | **ინტერი** (იტალია) | 243,0 |
| 8 | (15) | **მილანი** (იტალია) | 237,0 |
| 9 | (4) | **სანტოსი** (ბრაზილია) | 232,0 |
| 10 | (8) | **ჩელსი** (ინგლისი) | 222,0 |
| 11 | (10) | **იუვენტუსი** (იტალია) | 221,0 |
| 12 | (20) | **ლიონი** (საფრანგეთი) | 218,0 |
| 13 | (24) | **პსვ ეინდჰოვენი** (ჰოლანდია) | 216,0 |
| 14 | (6) | **არსენალი** (ინგლისი) | 211,0 |
| 15 | (9) | **სან პაულუ** (ბრაზილია) | 210,0 |
| | (13) | **რეალი** (ესპანეთი) | 210,0 |
| 17 | (14) | **ვერდერი** (გერმანია) | 209,0 |
| 18 | (7) | **ბრიუგე** (ბელგია) | 208,5 |
| 19 | (26) | **შალკე** (გერმანია) | 206,0 |
| 20 | (16) | **პორტუ** (პორტუგალია) | 204,5 |
| 61 | (61) | **დნიპრო** (უკრაინა) | 145,5 |
| 62 | (49) | **რეინჯერსი** (შოტლანდია) | 142,0 |
| 95 | (95) | **ვენტსპილსი** (ლატვია) | 116,0 |
| 129 | (132) | **სკონტო** (ლატვია) | 103,0 |
| 167 | (178) | **დინამო (საქართველო)** | 90,5 |
| 181 | (178) | **ლოკომოტივი** (რუსეთი) | 76,5 |
| 251 | (205) | **სეპაჰანი** (ირანი) | 72,5 |
| 269 | (276) | **თბილისი (საქართველო)** | 70,5 |
| 276 | (286) | **მეტალურგი** (დონეცკი, უკრაინა) | 69,0 |

# თვალთვალი



გთავაზობთ ახალ რუბრიკას „თვალთვალი". ის ფოტორუბრიკად გვაქვს ჩაფიქრებული და მისი „სარბიელის" ფურცლებზე გამოჩენა ყოველგვარი დათქმული პერიოდულობისგან თავისუფალი იქნება. „თვალთვალი", როცა ამის საშუალება მიეცემა, შემოგთავაზებთ ფოტოს, რომელიც თავისთავად მეტყველია, მაგრამ სათქმელი ჯერ არ უთქვამს, რადგან კერძო მიზეზთა გამო ვერც რომელიმე რეპორტაჟში მოხვდა და ვერც რომელიმე მიმოხილვაში.

რუბრიკის ფოტოები სულაც არ გახლავთ აუცილებელი რომ ბოლოწამისა იყოს, თუმცა არც ამით დაუშავდება რამე. ერთი სიტყვით, ვუთვალთვალოთ ჩვენს სპორტულ ცხოვრებას „თვალთვალთან" ერთად და ეს, საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო ტურში, ლანჩხუთში, „ტორპედოსა" და „დინამოს" შეხვედრაში, ბადრი კეთილაძის ფოტოთი დავიწყოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიამ გოლები გააჩერა

**რამდენიმე** წლის წინ აზერბაიჯანში ქართველებიდან მხოლოდ ვეტერანი ბადრი კვარაცხელია თამაშობდა და იქაურთა კუმირადაც ითვლებოდა. ახლა კი, ნუ იტყვით, აზერულ კლუბებში ლეგიონერები ჭიანჭველებივით მომრავლდნენ და მათ შორის, ასე თუ ისე, სახელიანი ქართველებიც არიან.

ჩვენი მეზობლების ჩემპიონატში 22-ე ტური გაიმართა და ერთი სკანდალური მატჩიც გამოერია. ალეკო გოგობერიშვილისა და მერაბ ძოძუაშვილის „ბაკი“ ტოვუზში იქაურ „თურანს“ თავიდან უგებდა, თუმც მასპინძლებმა ჯერ გაათანაბრეს, მეორე ტაიმის შუაწელში კი პენალტით დაწინაურდნენ კიდეც. სწორედ ამ პენალტის დანიშვნას მოჰყვა დიდი ალიაქოთი — „ბაკის“ ფეხბურთელებმა 11-მეტრიანი გამოგონილად ჩათვალეს და თამაშიდან გავიდნენ, რის გამოც ჩვენიანთა გუნდს 0:3 წაგება ჩაუთვალეს. გოგობერიშვილი და ძოძუაშვილი ძირითადში იყვნენ. „თურანმა“ კი რამდენმე დღის წინ თბილისის „ლოკომოტივიდან“ თენგიზ სიჭინავა ინათხოვრა სეზონის ბოლომდე.

შედეგად „ბაკი“ მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდა და საჩემპიონო ნიშნულიდან 8 ქულითაა დაშორებული.

ცხრილის შუაგულში მყოფმა „კარატმა“ 1:0 აჯობა „არაზს“ — საგოლე პასი კახა ძებისაშვილმა გააკეთა.

ჩემპიონატის ლიდერი კი კვლავაც აგდამის „ყარაბახია“, რომელიც 4 ქულით უსწრებს მეორეადგილოსან „ნეფთჩის“. „მენავთობეებმა“ გასულ ტურში „გეიაზანს“ სლოვენიელი ტომო მიშურას გვიანი გოლით მოუგეს და ეს ერთ-ერთი იშვიათი მატჩი იყო, გიორგი ადამია გოლის გარეშე რომ დარჩა — ბაქოელთა მთავარ იმედს პირველ ტაიმში ორი საგოლე მომენტი გაუცუდდა.

გუშინ კი აზერბაიჯანელმა ქართველებმა სათასო მეოთხედფინალის პირველი მატჩები ჩაითამაშეს, თუმც ისევ უგოლოდ დაშრნენ. „ნეფთჩი“ მოულოდნელად 0:0-ით გაეყარა „ინტერს“, ადამიამ პირველი ტაიმის მიწურულს ხარიხა შეაზანზარა, მეორე ნახევარში კი სტუმართა მეკარემ სასწაულებრით აუღო.

„ბაკიმ“ გასვლაზე 2:1 აჯობა „კარატს“, გოგობერიშვილი და ძოძუაშვილი კვლავ სასტარტოში იყვნენ, გოლები კი ბრაზილიელებმა — სერჟინიომ და ლეანდრომ გაიტანეს.

**ილია ნანობაშვილი**



ალეკო გოგობერიშვილის „ბაკი“ მსაჯებს გაებუტა

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

### თურქეთი

*თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის კარზე გვარიანი არეულობაა. არადა, ოსმალოთა ნაკრებს 26 მარტს შინ ალბანეთთან, 30-ში კი სტუმრად საქართველოსთან უმნიშვნელოვანესი მატჩები ელის.*

*მსოფლიოს 2002 წლის ბრინჯაოსნებს ჯგუფიდან გასვლის შანსი, ცხადია, აქვთ, მაგრამ 70 მილიონიან თურქეთში ალბათ ათ პროცენტსაც არ სჯერა, რომ ერსუნ იანალისეული გუნდი 2006 წლის მუნდიალზე მოხვდება.*

*ახლახან იანალს ერთდროულად რამდენიმე ფრონტიდან შეუტიეს, მაგრამ ახალგაზრდა მწვრთნელი შეტევებს ჯერჯერობით იგერიებს...*



# ერსუნ იანალს გოლი ტელევიზორიდან გაუტანეს

სკანდალი, რომელმაც თურქთა თავკაცის სკამი შეარყია ასე დაიწყო: თურქულ ტელეარხ „სტარის“ სპორტული გადაცემა „ტელეგოლში“ „ანკარაგუჯუს“ ყოფილმა ფეხბურთელმა ჯაფერ აიდინმა იანალი ქრთამის აღებაში დაადანაშაულა. ეს ოთხი წლის წინანდელი ამბავი ყოფილა, როცა აიდინი „ანკარაგუჯუში“ ერსუნ იანალის ხელქვეით თამაშობდა.

2001 წლის მაისში, თურქეთის ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე, „ფენერბაჰჩე“ „გალათასარაის“ სამი ქულით უსწრებდა. „გალა“ შინ „ანკარაგუჯუს“ მასპინძლობდა და, ცხადია, მოგება სჭირდებოდა. ანკარელებმა, რომლებიც ცხრილის შუაში მშვიდად ნებივრობდნენ, ცხრაპირი ოფლი მოიდინეს და „გალათასარაის“ 2:1 მოუგეს. შედეგად „ფენერის“ საქმე გააკეთეს, რომელიც საბოლოოდ ჩემპიონიც გახდა.

„ტელეგოლში“ ჯაფერ აიდინმა თქვა, ნამატჩევს ერსუნ იანალმა გამარჯვებისთვის შეპირებული 10-10 ათასი დოლარი საკუთარი ხელიდან გვიფეშქაშაო. აღსანიშნავია, რომ აიდინი სტუდიაში არ ყოფილა, მხოლოდ მისი ხმის აუდიოჩანაწერი გაუშვეს.

მცირე განმარტება: ცნობილია, რომ ესპანეთში, მაგალითად, ჩემპიონობისთვის მებრძოლ „ვალენსიას“ ლიად შეუძლია, შესთავაზოს ფულადი პრემია გუნდს, თუკი ეს უკანასკნელი ვალენსიელთა კონკურენტს მოუგებს.

იგივე მოხდა „გალათასარაი“ — „ანკარაგუჯუს“ მატჩში. „ფენერბაჰჩემ“ ანკარელებს ფული გადაუხადა, რათა კონკურენტი „გალა“ ჩამოეშორებინა. ჯაფერ აიდინიც ამას ამტკიცებს, ერსუნ იანალმა „ფენერისგან“ აღებული ქორფა დოლარები ჩაგვითვალაო. ესპანეთში ეს ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება, თურქეთში კი ქრთამის აღების ტოლფასია და კანონით ისჯება. ჯაფერ აიდინის გარდა კიდევ ორმა კაცმა დაადასტურა იანალისგან ფულის დარიგება. მათ შორის ერთი „ანკარაგუჯუს“ ყოფილი ფეხბურთელია, მეორე კი კლუბის ბაზაზე მომუშავე მავანი თანამშრომელი, რომელმაც გახარებულმა წამოაყრანტალა, ალაჰსა ვფიცავ, ეგრე იყო, ფარა მეც მერგოო.

ამ ამბით გაოგნებულმა ერსუნ იანალმა გადაცემის გასვლიდან მეორე დღესვე თავი იმართლა. აიდინი და მისი დამქაშები ცილისწამებაში დაადანაშაულა და პირისპირ სასაუბროდ გამოიწვია.

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ოფიციალურად განაცხადა, ნაკრების მწვრთნელის რეპუტაციის შელახვას არავის ვაპატიებთ, საქმეს გამოვიძიებთ და ცილისმწამებლები საკადრისად დაისჯებიანო. ფედერაციას პრეზიდენტმა ლევენტ ბიჩაქჩიმ თავის მხრივ აღნიშნა, ეს რაღაც გაუგებრობაა და მტყუან-მართალს აუცილებლად გავარჩევთო. საქმეში თურქეთის პარლამენტის საგანგებო კომისიაც ჩაერთო...

თითქოს ეს არ ეყოფოდა, ფინანსთა სამინისტრომაც თავი წამოყო, 2002 წელს იანალმა გადასახადები დაგვიმალაო.

მესამე დღეს ერსუნ იანალს ფეხბურთელობის დროინდელი ამბავი ამოუქექეს. „ნაზილისფორში“ თამაშისას მეტოქისგან ქრთამის აღების მცდელობაში ეჭვმიტანილი იყოო. თითქოს იანალს თავისი გუნდის, „ნაზილისფორის“ მეკარისთვის ფული შეუთავაზებია, ზედა ლიგაში მაინც ვერ გადავალთ, „ალანიასფორთან“ მატჩი დავთმოთ, ალანიელები მსუყე თანხას გვთავაზობენო. პატიოსან მეკარეს ეს მწვრთნელისთვის უთქვამს და, ცხადია, გარიგება ჩაიშალა. იანალი კი სუფთად გამოძვრაო, ამტკიცებს ერთ-ერთი თურქული გაზეთი. ქალაქ ნაზილის მაშინდელმა თავმა ესათ ერგიულერმა ამ ამბავს მონაჩმახი უწოდა. მსგავსი არაფერი ყოფილა, რა ქრთამი, რის ალანიელები, მაშინ იანალი სამხედრო სავალდებულო სამსახურში გახლდათო.

„ტელეგოლიდან“ მეოთხე დღეს კი ჯაფერ აიდინმა თქვა, გადაცემაში გაშვებული ხმა ჩემი არააო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც აიდინი ფეხბურთის ფედერაციაში დაიბარეს და ეტყობა, „დაამუშავეს“.

საინტერესო ისაა, რატომ არავის გაახსენდა „ანკარაგუჯუ“ და „ნაზილისფორი“ ან დამალული შემოსავალი ერთი წლის წინ, როცა ერსუნ იანალი ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს.

ამ კითხვაზე პასუხი აქვს გაზეთ „გიუნეშის“ კორესპონდენტს. მისი აზრით, ძველი ცოდვების ამოქექვის მიზეზი მარტივია: ერსუნ იანალის მოხსნას ცდილობენ და თუ ეს ასეა, მაშინ მისი შემცვლელიც გამზადებული უნდა იყოს. როგორც ამბობენ, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ლევენტ ბიჩაქჩის მეგობარი ყოფილა „იმპერატორად“ წოდებული ფათიჰ თერიმი. ბიჩაქჩის მწვრთნელად სწორედ თერიმის დანიშვნა სდომებია, მაგრამ თავად „იმპერატორი“ აცხადებს, სხვა გეგმები მაქვსო.

ფაქტია, ერსუნ იანალი აითვალწუნეს, საამისო მიზეზი კი ბლომად დაგროვდა.

პირველი: საქართველოსთან შინ ფრე მსოფლიოს ბრინჯაოსნობით გაყულენთილ თურქებს იანალისთვის ვერ უპატიებიათ.

მეორე: აქამდე ბუზაუფრენელი ავტორიტეტი ჰაკან შუქური ერსუნ ხოჯამ ნაკრებიდან დაითხოვა, „ბოსფორის ბულას“ კი მთელი ოსმალო ეთაყვანება.

მესამე: გასულ შემოდგომაზე შინ უკრაინასთან მწარე (0:3) მარცხი.

მეოთხე: ჰოლანდიის „ჰერენვენის“ თურქმა მოთამაშემ ულურ ილდირიმიმ „ვარსკვლავმთვარიან“ მაისურას „ნარინჯისფერი“ არჩია, იანალი შანსს არ მაძლევს, ვან ბასტენმა კი ნაკრებში მიხმოო. იანალს ნიჭიერი მოთამაშის დაკარგვა პასივში ჩაუწერეს.

მეხუთე: 9 თებერვალს ტუნისთან შინ დაგეგმილი ამხანაგური მატჩის თოვლის გამო ჩაშლა. ზოგიერთის აზრით, შეხვედრის გამართვა მაინც შეიძლებოდა, მაგრამ იანალს გუნდის იმედი არ ჰქონდა და თოვლიანობა მოიმიზეზა.

მავანი თურქი მიმომხილველი ამტკიცებს, ერსუნ იანალს პირველივე წაგებული მატჩის შემდეგ მოხსნიანო. ვიმედოვნებთ, რომ იანალის გასათავისუფლებელი მიზეზი თურქეთის ფეხბურთის ფედერაციას 30 მარტის საღამოს ექნება.

მანამდე კი, ქრთამთან დაკავშირებული საქმის გამოძიება გრძელდება და გუშინ ლევენტ ბიჩაქჩიმ განაცხადა, ნაკრების მწვრთნელად მირჩა ლუჩესკოს ხილვა მსურსო, რაზეც რუმინელმა მიუგო, დონეცკის „შახტართან“ კონტრაქტი მაქვს, თუმც თურქეთი ძალიან მომენატრაო.

**რომან თურქია**

## ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

# მიდი, დელ პიერო, მიდი!

## რეალი: თუ ვერ გავედით...
## იუვენტუსი: ეჰ, ნეტავ ნედვედი გვყავდეს?



პაველ ნედვედის არყოფნაში, ალესანდრო დელ პიეროზე (შუაში) ბევრი რამ იქნება დამოკიდებული

ტურინი. „დელე ალპი". მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

### იუვენტუსი — რეალი (0:1)

სავარაუდო შემადგენლობები

| იუვენტუსი | რეალი |
| --- | --- |
| ბუფონი, ძებინა, ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ტაკინარდი, დელ პიერო, იბრაჰიმოვიჩი, ტრეზეგე | კასილიასი, რაულ ბრავო, ელგერა, სამუელი, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექემი, გრავესენი, ზიდანი, რაული, რონალდო |
| მწვრთნელი: ფაბიო კაპელო | მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო |

**მადრიდის** „რეალი" და ტურინის „იუვენტუსი" ორი წლის წინ, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს და მაშინ, „დელე ალპიზე" 1:3 წაგებამ მადრიდელებს ოცნება — ექვს სეზონში ოთხჯერ მოეგოთ ჩემპიონთა თასი — აუხდენელად უქციათ.

მაშინ „რეალი", გეხსომებათ, ესპანეთის ჩემპიონობას დასჯერდა, თუმცა ვისენტე დელ ბოსკეს სამეფო კარიერა კი შეიწირა.

ისიც გეხსომებათ, რომ მაშინ „რეალს" დიდებული შემტევები ყავდა, დაცვაში კი მოიკოჭლებდა. მას მერე „რეალს" კიდევ სამი მწვრთნელის შეცვლა დასჭირდა, სანამ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი მიხვდებოდა — მისი პოლიტიკა, რომლის თანახმადაც მხოლოდ მოიერიშე სუპერვარსკვლავებს ყიდულობდა, ეფექტური აღარ იყო და ამ სეზონის წინ როგორც იქნა, უკანახაზელების ყიდვაც დაიწყო. „რეალში" ამგვარად ალმოჩნდნენ არგენტინელი მცველი ვალტერ სამუელი და დანიელი ნახევარმცველი თომას გრავესენი.

ეს ლაპარაკი კი ამის სათქმელად წამოვიწყეთ: „იუვენტუსთან" დღევანდელი მატჩის წინ „რეალის" დაცვითი ჯგუფი უფრო სოლიდურად გამოიყურება, ვიდრე ეს ორი წლის წინათ იყო.

გნებავთ, ასეც ვთქვათ: ამ სეზონში მადრიდელებს ესპანეთის ჩემპიონობის მაინცდამაინც დიდი შანსი აღარ აქვთ ანუ საფიქრებელია, რომ კლუბი ძირითად აქცენტს სწორედ ჩემპიონთა თასზე გადაიტანს. ვანდერლეი ლუშემბურგოსთვის კი დღევანდელი მატჩი აქამდე ჩატარებულებთან შედარებით, ყველაზე რთული იქნება.

„იუვესთან" მატჩის წინ „რეალის" ვიცე-კაპიტანმა ხოსე მარია გუტიმ თქვა: „როგორი იქნება ჩვენთვის სეზონის დარჩენილი ნაწილი, ამ მატჩის შედეგზეა დამოკიდებული. მომდევნო ეტაპზე თუ ვერ გავედით, ეს უდიდესი წარუმატებლობა იქნება. უშუალოდ თამაშისას ჩვენი მიზანი გოლის გატანაა, რის მერეც მეტოქისთვის ფაქტობრივად შეუძლებელი გახდება ჩვენი დამარცხება."

ტურინელთა უმთავრეს პრობლემად კი ჩეხი პაველ ნედვედის არყოფნა რჩება. ნედვედი, გეხსომებათ, „სანტიაგო ბერნაბეუზე" რაულ ბრავოსთან თავით შეჯახებამ კინაღამ შეიწირა. შესაბამისად, ფაბიო კაპელოს პირველ მატჩთან შედარებით გუნდში ცვლილებების განხორციელება მოუწევს.

კაპელო, ვისაც თავის დროზე „რეალი" ესპანეთის ჩემპიონად უქცევია, ნედვედის არყოფნაში სამი თავდამსხმელით თამაშს ამჯობინებს, რაც სერია A-ს ბოლო ტურშიც გამოჩნდა. კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო ცოტა უკან იქნება დახეული და მწვრთნელისგან მაქსიმალური თავისუფლებაც ექნება მიცემული ანუ მკაცრად განსაზღვრული ადგილი მოედანზე არ ექნება. მის წინ კი ზლატან იბრაჰიმოვიჩი და მომჯობინებული დავიდ ტრეზეგე ითამაშებენ.

„რეალის" სატურინო შემადგენლობაზე კი ვთქვათ: ყოფილმა იუვენტუსელმა ზინედინ ზიდანმა ტრავმა მოიშუშა. ჯანმრთელად არიან რაული და მაიკლ ოუენიც, რომლებმაც ავადმყოფობის გამო „ვალენსიასთან" მატჩი გამოტოვეს.

ხოლო გუტი, რომლის წინასამატჩო კომენტარიც ზემოთ გაგაცანით, სავარაუდოდ არ ითამაშებს, რაკი ვანდერლეი ლუშემბურგო კუნთმაგარ გრავესენს უფრო ენდობა.

**ქოთე ქექელია**

მონტე კარლო. „ლუი მეორე". მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)

### მონაკო — პსვ ეინდჰოვენი (0:1)

სავარაუდო შემადგენლობები

| მონაკო | პსვ ეინდჰოვენი |
| --- | --- |
| რომა, მაიკონი, როდრიგესი, გივე, ევრა, ბერნარდი, ზიკოსი, კალონი, პლასილი, სავიოლა, ჩევანტონი | გომესი, ოიერი, ალექსი, ბუმა, ი. ლი, ვან ბომელი, ფოგელი, კოკუ, პარკი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, ფარფანი |
| მწვრთნელი: დიდიე დეშანი | მწვრთნელი: გუს ჰიდინკი |

# გოლი მანახეთ, გოლი!

## დეშანს ბურთი ბადეში მოენატრა

**„მონაკო"** წლეულს, შარშანდელივით გოლუხვი ნამდვილად ვერაა. ლუდოვიკ ჟიულისა და ფერნანდო მორიენტესის წასვლა გუნდის შეტევას აშკარად დაეტყო. მართალია, დიდიე დეშანი კვალიფიციური ფორვარდების ნაკლებობას არც ახლა უჩივის, რადგან სავიოლა, ჩევანტონი, კალონი, ადებაიორი და ნონდა ჰყავს, მაგრამ მათ სტაბილურობა აკლიათ.

აგერ, ჩემპიონატის ბოლო ტურში „მეცთან" მათ უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს, თუმც ამაოდ. ისეთები ვერ გაიტანეს, რომ დიდიე დეშანი სიმწრისგან ჯარასავით ბზრიალებდა. მწვრთნელი სწორედ ამ ფაქტის გამო ნერვიულობს და იმედოვნებს, რომ პსვ-სთან მატჩისთვის მისი შეგირდები სამიზნეს გაისწორებენ. „მონაკომ" ბოლო ექვს კვირაში ერთი მატჩი მოიგო, სავიოლამ და კალონმა კი ოთხ თამაშში მხოლოდ ორი გოლის გატანა მოახერხეს.

„ასეთი ცუდი შედეგების მიუხედავად, მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი — თქვა დეშანმა — ამდენი გაცუდებული საგოლე მომენტის შემდეგ, სადღაც ხომ უნდა გაგვიმართლოს. კარგი იქნება, თუ ეს ჰოლანდიელებთან მოხდება".

„ამ სეზონში ერთი ჯილდო მაინც უნდა მოვიგოთ — აცხადებს ემანუელ ადებაიორი — საფრანგეთის თასის მოპოვება ჩვენი ერთ-ერთი მიზანია, მაგრამ უშანსოდ ჩემპიონთა ლიგაშიც არ ვართ".



„შარშან დიდი გამოცდილება მივიღეთ, რომლის გამოყენებაც ახლა გვმართებს" — ეს კი მცველ სებასტიან სკილაჩის სიტყვებია.

მოკლედ, დღევანდელ მატჩში ძირითად შემადგენლობაში, სავარაუდოდ, ჩევანტონი-სავიოლას წყვილი ითამაშებს. ურუგვაელი ფორვარდი ტრავმირებული იყო და ახლა მომჯობინდა.

„მონაკოს" კარს ალბათ კვლავ იტალიელი მეკარე ფლავიო რომა დაიცავს — რომა ორი კვირის წინ, პსვ-სთან პირველი შეხვედრისას დაშავდა და მას შემდეგ სამი მატჩი გამოტოვა.

სანამ მონაკოელები ვერგატანილ გოლებზე ფიქრობენ, „პსვ ეინდჰოვენს" სადღეისოდ მოსამზადებელი ვადა გაუხანგრძლივდა, ვინაიდან უქმეებზე, „გრონიგენთან" ჩემპიონატის მატჩი უამინდობის გამო გადაედოთ: „ნორმალურ პირობებში „გრონიგენთან" თამაში სათამაშო პრაქტიკის თვალსაზრისით კარგი იქნებოდა, მაგრამ მოყინულ მოედანზე სრიალი არაფერს გვარგებდა და მოხარული ვარ, რომ მატჩი არ შედგა" — განაცხადა გუს ჰიდინკმა, ჰოლანდიელთა მწვრთნელმა.

ეინდჰოვენური კლუბი მონტე კარლოში სრული შემადგენლობით ჩავიდა. ჰოლანდიელებს ყველა ფეხბურთელი ჯანზე ჰყავთ, მათ შორის ჯონ დე იონგი და ფილიპ კოკუ, რომლებმაც შაბათის ვარჯიში მსუბუქი ტრავმების გამო გამოტოვეს.

და ბოლოს, „პსვ ეინდჰოვენი" თუ დღეს „მონაკოს" აჯობებს, 1990 წლის შემდეგ პირველად გავა ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში.

**გაგა ხუციშვილი**

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

## არგაშვება ძნელია გატანა უფრო ძნელი

ლონდონი. „ჰაიბერი“. მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

### არსენალი — ბაიერნი (1:3)

სავარაუდო შემადგენლობები

ლემანი, ლორენი,
სენდეროსი, ტურე, ე. კოული,
ლიუნგბერგი, ფაბრეგასი, ვიეირა,
ფლამინი, ანრი, ბერხკამპი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი

კანი, სანიოლი, ლუსიო,
რ. კოვაჩი, სალიჰამიჯიჩი,
დაისლერი, ფრინგსი, დემიკელისი,
ბალაკი, ზე რობერტო, პიზარო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი



მიუნხენელი როი მაკაი თანაგუნდელებს დღეს ვერ დაეხმარება

**„არსენალს“** არ ჰყავს სოლ კემპბელი, ლონდონური კლუბის დაცვის ბურჯი, რომელიც 1 თებერვალს, ანუ „ბაიერნთან“ პირველ საჩემპიონთალიგო მატჩამდე დაშავდა. ახლა კი ფიქრობენ, რომ ორი კვირის წინ, მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ „მეთოფეთა“ სამარცხვინო თამაში დაცვაში სწორედ კემპბელის არყოფნით იყო განპირობებული.

დღეს ამ გუნდებს შორის საპასუხო მატჩი გაიმართება და „არსენალს“ კემპბელი ისევ არ ეყოლება და იმედია, არსენ ვენგერმა გერმანელი თავდამსხმელების უკემპბელოდ განეიტრალების გზას მიაგნო. მაგრამ ისიცაა, რომ მხოლოდ არგაშვება „არსენალის“ მიზანი ვერ იქნება — „მეთოფეებს“ სულ მცირე ორი გოლი აქვთ გასატანი, რაც, დაგვეთანხმებით, არგაშვებაზე ძნელად შესასრულებელი მისიაა.

გულახდილად რომ ვთქვათ, მეოთხედფინალში „არსენალის“ გასვლისა დიდად არათუ ჩვენ, თვით ინგლისშიაც არ სჯერა ბევრს. „ბაიერნს“ მეტისმეტად კარგად ორგანიზებული და ძლიერი დაცვის ხაზი ჰყავს, თუმცა შეტევაში მიუნხენელებს შეიძლება მართლაც გაუჭირდეთ — ჰოლანდიელი როი მაკაი ხომ დამტვრეულია.

მეორე მხრივ კი, იმედი ბოლოს კვდება და ესეც რომ არა, არსენალელებს გულშემატკივართა გასაგონად რიხით ლაპარაკი მართებთ. არსენ ვენგერმა თქვა: „ოთხშაბათის მატჩისთვის უპირველესად ფსიქოლოგიურად გვმართებს მომზადება. დარწმუნებული ვარ, მიზნის მიღწევა შეგვიძლია.“

ზემოთ მაკაის ტრავმა ვახსენეთ. საამსეზონო ჩემპიონთა ლიგაში შვიდი გოლის გამტანმა ჰოლანდიელმა ამასწინათ კუნთი გაიჭიმა, მაგრამ „ბაიერნში“ კარგი ამბებიცაა: პლეიმეიკერი მიხაელ ბალაკი, ვინაც მყესის ტრავმის გამო „არსენალთან“ პირველი მატჩი გამოტოვა, მომჯობინდა და თამაშისთვის მზად არის. აქვე დავძინოთ, რომ ბუნდესნაკრების კაპიტანმა ბუნდესლიგის წინა ტურში გამარჯვების გოლიც გაუტანა ჩემპიონ „ვერდერს“. და ერთიც: კოლო ტურეს ორი კვირის წინანდელი გოლის მერე მიუნხენელებს საკუთარ კარში ბურთი არ გაუშვიათ.

საინტერესო სიახლეცაა: ბალაკის არყოფნისას, მის მაგიერ ფელიქს მაგათი არგენტინელ მარტინ დემიკელისს ათამაშებდა. ახლა ბალაკი, როგორც მოგახსენეთ, მომჯობინდა, მაგრამ დემიკელისი ისე კარგად თამაშობს, რომ მწვრთნელს მისი ხელახლა სათადარიგოთა სკამზე დასმა დაენანა.

„ოლივერ კანის, ლუსიოს, რობერტ კოვაჩის და მარტინ დემიკელისის თამაშის შემხედვარე ვერ წარმომიდგენია, გოლი როგორ უნდა გავუშვათ“ — თქვა მაგათმა.

მაკაის დაშავების გამო „ბაიერნი“ სავარაუდოდ ერთი თავდამსხმელით ითამაშებს და ეს პერუელი კლაუდიო პიზარო იქნება. პიზარომ, შეგახსენებთ, პირველ მატჩში „არსენალს“ ორი გოლი გაუტანა. ნახევარდაცვაში კი გერმანელებს ხუთი ფეხბურთელი ეყოლებათ.

დაშავებულ ბიქსენტ ლიზარაზუს კი დაცვის მარცხენა ფლანგზე ნომინალური ნახევარმცველი, ბოსნიელი ჰასან სალიჰამიჯიჩი შეცვლის.

**ირაკლი ნინიძე**

ლევერკუზენი. „ბაიარენა“. მსაჯი: ალან სარსიი (საფრანგეთი)

### ლევერკუზენი — ლივერპული (1:3)

სავარაუდო შემადგენლობები

ბუტი, კალსენ-ბრაკერი,
რამელო, პლასენტე, კასტრო,
შნაიდერი, ბიროფკა, დონოვანი,
კრჟინოვეკი, ბერბატოვი, ვორონინი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

დუდეკი, ფინანი, ჰიიპია,
კარაგერი, უორნოკი,
ლუის გარსია, ჯერარდი, ჰამანი,
რიისე, კიუელი, ბაროში
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

## რაფაელ ბენიტესი: რა ლევერკუზენი, რის ლევერკუზენი, მე თასი მინდა

**ჩემპიონთა** ლიგის მიმდინარე გათამაშებაში „ლევერკუზენი“ საშინაო მატჩებს ბრწყინვალედ ატარებს. „ფარმაცევტებმა“ წინა, ჯგუფურ ეტაპზე მრისხანე მეტოქეებს — „რეალს“, „რომასა“ და კიევის „დინამოს“ 3-3 გოლი გაუტანეს, საკუთარ კარში კი მხოლოდ ერთი ბურთი მიიღეს. და, რა დიდი მიხვედრა უნდა იმას, რომ გერმანელები დღესაც საკუთარი კედლებისა და „ბაიარენაზე“ შეკრებილი ქომაგის იმედზე არიან.

„რა თქმა უნდა, რთულ მდგომარეობაში ვიმყოფებით, მაგრამ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ნამდვილად გვაქვს. მთავარია, პირველ ტაიმში ერთი გოლი მაინც გავიტანოთ. ვფიქრობ, ამის ძალა შეგვწევს. თუმცა, უკანმოუხედავად შეტევაში წასვლაც არ იქნება მართებული. მაქსიმალურად ყურადღებით უნდა ვითამაშოთ და იმედია, იღბალიც ზურგს არ გვაქცევს“ — თქვა ლევერკუზენელთა თავკაცმა კლაუს აუგენტალერმა.

ოპტიმისტურად არის განწყობილი „ბაიერის“ ბულგარელი ფორვარდი დიმიტარ ბერბატოვიც: „საშინაო მატჩებს, რომ გაცილებით უკეთ ვატარებთ, ეს ყველასთვის ცნობილია. „რეალი“, „რომა“ და „დინამო“ ძალიან ძლიერი კლუბები არიან, მაგრამ მათი ძლევა შევძელით. ახლა კი „ლივერპულიც“ უნდა დავამარცხოთ“.

მაგრამ, გერმანელები სერიოზული პრობლემების წინაშე დგანან, გუნდს სამი მცველი და ორი შემტევი ნახევარმცველი აკლია — იენს ნოვოტნის, როკე ჟუნიორსა და ჟუანს ტრავმები აქვთ, რობსონ პონტესა და პაულ ფრაიერს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია.

გარკვეული დანაკლისი „ლივერპულსაც“ აქვს. გუნდს კიდევ ერთი ფორვარდი, ახალგაზრდა ნილ მელორი დაუშავდა, იგი სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს. სამაგიეროდ, მინდორზე გავა მერსისაიდელთა კაპიტანი სტივენ ჯერარდი. თავდასხმაში კი მილან ბაროშის მეწყვილეობას კვლავ ჰარი კიუელი გასწევს.

ინგლისელთა ესპანელი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი თავისი გუნდის წარმატებაში დარწმუნებულია. იგი თურმე გამარჯვებას, მხოლოდ ამ კონკრეტულ ორთაბრძოლაში კი არა, მთლიანად ჩემპიონთა ლიგაში აპირებს და ცდილობს, ეს განწყობა მოთამაშეებსაც გადასდოს.

„შარშან, ყველა „რეალზე“, „მილანზე“, „იუვენტუსზე“, „ბარსელონასა“ და სხვა გრანდებზე ლაპარაკობდა, „პორტუ“ კი არავის უხსენებია, მაგრამ რატომ გგონიათ, რომ „ლივერპულს“ არანაირი შანსი არ აქვს, მით უმეტეს, რომ გუნდი თასის უკვე ოთხგზის მფლობელია. თუმც, ისეც არავინ იფიქროს, რომ „ბაიერს“ უკვე დამარცხებულად ვთვლი. ფაქტია, წინ დიდი ბრძოლა გველის. შემდეგ ეტაპზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გავალთ, თუ დაცვაში ყურადღებით ვითამაშებთ“ — თქვა ბენიტესმა.

**გიორგი ძაძამიძე**



რაფაელ ბენიტესი (მარცხნივ) კლაუს აუგენტალერის გუნდს არ ეპუება

# დიმიტარ ბერბატოვი გოლებით ხატავს

## ანრი ისეთი სწრაფია...

*დღეს „ლევერკუზენის" ბულგარელი თავდამსხმელი დიმიტარ ბერბატოვი ისტორიის გამეორებას აპირებს — გერმანულ გუნდს „ლივერპულთან" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ შეხვედრაში, სტუმრად 1:3 აქვს წაგებული, მაგრამ შემდეგ ეტაპზე გეგმავს მაინც გასვლას. ისტორიის გამეორება კი იმიტომ ვახსენეთ, რომ 2002 წლის გაზაფხულზე, ამავე შეჯიბრების მეოთხედფინალში ლევერკუზენელებს იმავ „წითლებთან" 2:4 ჰქონდათ წაგებული და საბოლოოდ, ორი მატჩის ჯამში გაიმარჯვეს.*

*კიდევ რა შეიძლება კაცმა ბულგარეთისა და „ლივერპულის" ხსენებაზე მოიგონოს? რა და 1982 წელი, როდესაც სოფიის ცსკა-მ ჩემპიონთა თასის მფლობელი „ლივერპული" გამოთიშა შეჯიბრებიდან. იმ შეხვედრაში ორი გოლი ბულგარეთის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, სტოიჩო მლადენოვმა გაიტანა...*

*ქვემოთ ბერბატოვის ინტერვიუს თარგმანს გთავაზობთ*



— როგორ ფიქრობთ, შეძლებთ იმის გამეორებას, რაც მლადენოვმა გააკეთა?

— რატომ ვერ უნდა გავიმეორო? გეთანხმებით, „ლივერპული" ფავორიტია, მაგრამ სწორედ ამის გამო განიცდის ზეწოლას, მისგან აუცილებელ მოგებას ითხოვენ. გარდა ამისა, მატჩი ლევერკუზენშია, ამიტომ შემდეგ ეტაპზე გასვლის ჩინებული შანსი გვაქვს. თუ გახსოვთ, ბევრს მანამდეც, „ბარსელონას", „იუვენტუსის" და „დეპორტივოს" წინააღმდეგ ჩამოწერილები ვეგონეთ.

— გოლები და გამარჯვებები... უფრო მნიშვნელოვანი გეგულებათ რამე?

— ამ კითხვაზე ყველა, ალბათ ჯანმრთელობას გიპასუხებდათ, მე კი ოჯახს დავამატებდი. ჩემი ოჯახი — დედა, მამა და ძმა — ლხინსა და ჭირში ჩემთანაა. გატანილი გოლები ჩემთვის, რასაკვირველია, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩემი ოჯახის წევრებისთვისაც.

— საინტერესოა, რას გრძნობს ადამიანი, როდესაც გოლი გააქვს ისეთი დიადი კლუბების კარში, „რეალი", „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ბარსელონა" რომ არიან?

— წარმოუდგენელი გრძნობაა. ამას შეიძლება სიამოვნებისგან თრობაც ვუწოდოთ, თუმცა გოლის გატანა ჩემთვის ისეთი სიხარულია, „რეალს" გავუტან თუ მასზე ნაკლებ სახელიან გუნდს, მნიშვნელობა არ აქვს.

— **იქნებ დღევანდელი ევროპის საუკეთესო თავდამსხმელები დაასახელოთ?**

— ნება მომეცით, თავდამსხმელებზე საუბარი ჩემი ბავშვობის გმირით, სრულიად ფანტასტიკური მარკო ვან ბასტენით დავიწყო, თუმცა ჩინებული ფორვარდები დღესაც არიან. უპირველეს ყოვლისა, მინდა რონალდო დავასახელო, მერე კი ვახსენოთ რუუდ ვან ნისტელროი და ტიერი ანრი. ეს ფრანგი ისეთი სწრაფია, მანქანითაც ვერ დაეწევი.

— **რას გრძნობთ, როდესაც მოედანზე „ლევერკუზენის" მაისურით გადიხართ და ტრიბუნებზე ბულგარეთის ეროვნულ დროშას ხედავთ?**

— სიამაყის გრძნობა მეუფლება. ამ სეზონის დასაწყისში, „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალს" გოლი რომ გავუტანე, ბულგარეთის დროშა პირდაპირ კარს უკან აფრიალდა. ძალიან ბედნიერი ვიყავი, ის ბულგარელი ქომაგები რომ გავახარე.

— **რა შეიცვალა თქვენი ქვეყნის ნაკრების თამაშში მას მერე, რაც მისი მწვრნელი ლეგენდარული ხრისტო სტოიჩკოვი გახდა?**

— არ მინდა სტოიჩკოვი და მისი წინამორბედი მწვრთნელები ერთმანეთს შევადარო. ყველამ იცის, ვინ არის ხრისტო სტოიჩკოვი, მას მთელს მსოფლიოში უდიდეს პატივს სცემენ. ის დიდებული ხელმძღვანელია. როდესაც ჩვენს შორისაა, ისე იქცევა, თითქოს ერთი ჩვენთაგანი იყოს. მეგობრულად გვეპყრობა, მან გუნდში გუნება-განწყობა აშკარად სასიკეთოდ შეცვალა.

— **პირადად თქვენ რას სწავლობთ სტოიჩკოვისგან?**

— მისგან აბსოლუტურად განსხვავებულ ფეხბურთს ვთამაშობ. ისე კი, მინდა სტოიჩკოვის, გამარჯვებულის მენტალიტეტი გავიზიარო.

— **გიფიქრიათ ოდესმე, თუ რას გააკეთებთ, ბურთის თამაშს თავს რომ დაანებებთ?**

— არა. ამაზე ფიქრი ჩემთვის ძალიან ადრეა. ჯერ ფეხბურთში მაქვს უამრავი ოცნება, რომლებიც ვიმედოვნებ ამიხდება. შემდეგ კი, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს რაიმე ბიზნესი წამოვიწყო. არ არის გამორიცხული, ეს ისევ ფეხბურთთან იყოს დაკავშირებული, თუმცა ვინ იცის.

— **ვიცით, რომ თქვენ ძალიან კარგად ხატავთ. ერთ მშვენიერ დღეს გამოფენის მოწყობას ხომ არ აპირებთ?**

— რატომაც არა? ხატვა შესაძლოა ჩემს მთავარ საქმიანობადაც იქცეს მომავალში. ვნახოთ...

# მიქაელ ლაუდრუპი: ბილბაო? არა, გმადლობთ აიაქსი? ნამდვილად მეამაყება



**„ბარსელონასა"** და მადრიდის „რეალის" ოდინდელმა ვარსკვლავმა, დანიელმა მიქაელ ლაუდრუპმა გუშინ თანამემამულე ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ბილბაოს „ატლეტიკთან" არავითარი ფარული შეთანხმება არ აკავშირებს და ბასკებისგანაც მომავალ სეზონში მწვრთნელად დანიშვნაზე ოფიციალური შეთავაზება არ მიუღია.

„ამასწინათ, პრესაში „ბილბაოსა" და ჩემს შორის დადებულ წინასწარ ხელშეკრულებაზე წავიკითხე, რაც სიმართლეს ნამდვილად არ შეესაბამება. რამდენიმე ცნობილი გუნდის აგენტი მართლაც დამიკავშირდა, თუმც ოფიციალურად მწვრთნელობა არც მათ შემოუთავაზებიათ. ჯერჯერობით „ბრონდბიუში" ვრჩები, მაგრამ წელიწადნახევარში რა მოხდება, წინასწარ ვერაფერს გეტყვით — თანამედროვე ფეხბურთი მოულოდნელობებითაა სავსე და შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს" — განმარტავს ლაუდრუპი.

შეგახსენებთ, მიქაელ ლაუდრუპს თავის ახლანდელ სამწვრთნელო გუნდ „ბრონდბიუსთან" კონტრაქტი 2006 წლის ივნისში უმთავრდება, ბასკურ „ბილბაოსთან" სავარაუდო მოლაპარაკების შესახებ კი ესპანურმა „ასმა" და „მარკამ" დაწერეს. დანიური კლუბის სპორტული დირექტორი პერ ბიერგაარდიც დაბეჯითებიც ამტკიცებს, „ატლეტიკის" წარმომადნელებს არ შეხვედრილვართ და არც ტელეფონით გვისაუბრიაო.

ესეც რომ არა, ბასკურზე უფრო რეალური ვერსია, ლაუდრუპის ჰოლანდიაში სამუშაოდ წასვლა გახლავთ — იქაური სპორტული მედია დიდ დანიელს უმწვრთნელოდ დარჩენილ ამსტერდამის „აიაქსში" მისვლას უწინასწარმეტყველებენ და დასძენენ, რომ ერთ დროს იქ მობურთავე ვარსკვლავი სიამოვნებით დათანხმდება.

„ნამდვილად მეამაყება, ასეთი დიადი კლუბი ჩემთან ხელშეკრულების დადებას რომ ლამობს" — ლაკონურად დასძენს ბოლოს მიქაელ ლაუდრუპი.

**ლადო ხომერიკი**

# შევჩენკო თითქმის მზადაა

## ანჩელოტი უკრაინელს ფსიქოლოგთან [illegible]

**„მილანის"** ლიდერი ანდრეი შევჩენკო მალე დაუბრუნდება მწვანე მინდორს. გუშინდელი ჩემპიონთა ლიგის მატჩი, ეგებ ერთ-ერთი ბოლოც იყოს, შევჩენკომ რომ ვერ ითამაშა ყბა-სახის ტრავმის გამო, ორ კვირაზე ცოტა მეტი ხნის წინათ რომ მიიღო კალიარელ სიმონე ლორიასთან თავით შესკდომისას.

„ის ერთ კვირაში მზად იქნება — განაცხადა „მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ — მაგრამ ფსიქოლოგიურ პრობლემას კი უნდა მოერიოს, ასეთი ტრავმები ყოველთვის სხვანაირად მოქმედებს ფეხბურთელზე, თუმცა, ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, შევა ამას მოერევა."

მოკლედ, ანდრეი შევჩენკომ გუნდთან ერთად ივარჯიშა უკვე ორშაბათს, დამდეგ კვირას კი სამატჩო 18-კაციან განაცხადშიც იქნება გენუის სამპდორიას" წინაალმდეგ. 20 მარტს კი, „რომასთან", პრინციპულ შეხვედრაში სასტარტოშიც გამოვა.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ინგლისი

**პრემიერლიგა. XXIX ტური**

**მანჩესტერ სიტი 0:1 ბოლტონი**

0:1 დიუფი (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 28 | 22 | 5 | 1 | 53:9 | 71 |
| მანჩესტერი | 29 | 18 | 9 | 2 | 47:17 | 63 |
| არსენალი | 29 | 18 | 7 | 4 | 67:32 | 61 |
| ევერტონი | 29 | 15 | 6 | 8 | 34:30 | 51 |
| ლივერპული | 28 | 13 | 4 | 11 | 41:30 | 43 |
| ბოლტონი | 29 | 12 | 7 | 10 | 37:34 | 43 |
| მიდლსბრო | 29 | 11 | 9 | 9 | 43:39 | 42 |
| ჩარლტონი | 28 | 11 | 7 | 10 | 32:38 | 40 |
| ტოტენჰემი | 28 | 11 | 6 | 11 | 35:31 | 39 |
| ასტონ ვილა | 29 | 10 | 8 | 11 | 34:37 | 38 |
| ნიუკასლი | 28 | 9 | 10 | 9 | 40:44 | 37 |
| სიტი | 29 | 9 | 9 | 11 | 34:32 | 36 |
| ბირმინგემი | 29 | 8 | 8 | 13 | 31:37 | 32 |
| ბლექბერნი | 28 | 7 | 10 | 11 | 25:36 | 31 |
| ფულემი | 28 | 8 | 6 | 14 | 33:46 | 30 |
| პორტსმუთი | 29 | 8 | 6 | 15 | 31:45 | 30 |
| კრი. პალასი | 29 | 6 | 8 | 15 | 32:45 | 26 |
| საუთჰემპტონი | 29 | 4 | 12 | 13 | 30:44 | 24 |
| ვესტ ბრომვიჩი | 28 | 3 | 12 | 13 | 25:49 | 21 |
| ნორვიჩი | 29 | 3 | 11 | 15 | 29:58 | 20 |

## პორტუგალია

**სუპერლიგა. XXIV ტური**

**სეტუბალი 1:4 ბრაგა**

0:1 ჟაიმე (7), 0:2 ჟოაუ ტომაში (38), 1:2 იგორი (52), 1:3 ბაროსო (60), 1:4 პაულუ სერჟიუ (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 24 | 13 | 6 | 5 | 37:23 | 45 |
| პორტუ | 24 | 12 | 9 | 3 | 30:16 | 45 |
| ბრაგა | 24 | 12 | 7 | 5 | 35:18 | 43 |
| სპორტინგი | 24 | 12 | 6 | 6 | 50:28 | 42 |
| ბოავიშტა | 24 | 11 | 8 | 5 | 32:30 | 41 |
| რიუ ავე | 24 | 8 | 12 | 4 | 30:29 | 36 |
| მარიტიმუ | 24 | 8 | 11 | 5 | 26:21 | 35 |
| გიმარაეში | 24 | 9 | 7 | 8 | 25:22 | 34 |
| ბელენენსეში | 24 | 9 | 5 | 10 | 33:28 | 32 |
| სეტუბალი | 24 | 8 | 8 | 8 | 34:32 | 32 |
| ლეირია | 24 | 7 | 11 | 6 | 25:23 | 32 |
| ნასიონალი | 24 | 9 | 4 | 11 | 29:32 | 31 |
| მორეირენსე | 24 | 5 | 9 | 10 | 21:33 | 24 |
| პენაფიელი | 24 | 7 | 3 | 14 | 24:41 | 24 |
| ჟილ ვისენტე | 24 | 6 | 5 | 13 | 24:31 | 23 |
| ეშტორილი | 24 | 6 | 5 | 13 | 29:41 | 23 |
| აკადემიკა | 24 | 5 | 6 | 13 | 20:34 | 21 |
| ბეირა მარი | 24 | 4 | 8 | 12 | 23:45 | 20 |

## საფრანგეთი

**II დივიზიონი. XXVIII ტური**

**შატორუ 1:3 ლე მანი**

1:0 შაფნი (2), 1:1 ფ. ტომა (19), 1:2, 1:3 ფანშონე (20, 62)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 28 | 15 | 6 | 7 | 40:26 | 51 |
| ლე მანი | 28 | 14 | 5 | 9 | 33:24 | 47 |
| სედანი | 28 | 13 | 7 | 8 | 29:26 | 46 |
| ტრუა | 27 | 13 | 6 | 8 | 45:37 | 45 |
| ლავალი | 28 | 12 | 6 | 10 | 32:30 | 42 |
| ბრესტი | 28 | 10 | 12 | 6 | 27:25 | 42 |
| გენიონი | 28 | 10 | 11 | 7 | 23:22 | 41 |
| მონპელიე | 27 | 11 | 7 | 9 | 27:23 | 40 |
| შატორუ | 28 | 8 | 15 | 5 | 32:28 | 39 |
| გრენობლი | 28 | 10 | 9 | 9 | 35:33 | 39 |
| დიჟონი | 28 | 9 | 12 | 7 | 27:25 | 39 |
| რეიმსი | 28 | 8 | 11 | 9 | 26:33 | 35 |
| გენგამი | 27 | 9 | 6 | 12 | 33:34 | 33 |
| ამიენი | 28 | 8 | 9 | 11 | 28:31 | 33 |
| ლორიანი | 27 | 9 | 5 | 13 | 33:38 | 32 |
| ანჟე | 28 | 7 | 10 | 11 | 28:34 | 31 |
| ლე ავრი | 28 | 8 | 6 | 14 | 18:27 | 30 |
| კლერმონი | 27 | 6 | 11 | 10 | 27:28 | 29 |
| კრეტეი | 27 | 6 | 9 | 12 | 24:28 | 27 |
| ნიორი | 28 | 6 | 7 | 15 | 22:37 | 25 |

## გერმანია

**II ბუნდესლიგა. XXIV ტური**

**კიოლნი 3:1 ზაარბრიუკენი**

1:0 ებერსი (26), 2:0, 3:0 პოდოლსკი (32, 36), 3:1 ტიბო (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუისბურგი | 24 | 15 | 3 | 6 | 38:23 | 48 |
| კიოლნი | 23 | 14 | 5 | 4 | 46:25 | 47 |
| ფიურტი | 24 | 13 | 4 | 7 | 38:29 | 43 |
| აინტრახტი | 24 | 12 | 4 | 8 | 42:33 | 40 |
| მიუნხენი | 24 | 11 | 7 | 6 | 35:30 | 40 |
| აუე | 24 | 11 | 3 | 10 | 36:26 | 36 |
| ალემანია | 24 | 10 | 4 | 10 | 42:31 | 34 |
| ბურგჰაუზენი | 24 | 9 | 6 | 9 | 33:40 | 33 |
| ტრირი | 24 | 7 | 11 | 6 | 32:34 | 32 |
| ზაარბრიუკენი | 23 | 9 | 4 | 10 | 33:32 | 31 |
| კოტბუსი | 24 | 8 | 6 | 10 | 26:29 | 30 |
| უნტერჰახინგი | 23 | 9 | 2 | 12 | 33:35 | 29 |
| ალენი | 24 | 6 | 7 | 11 | 23:30 | 25 |
| დინამო | 23 | 7 | 4 | 12 | 30:40 | 25 |
| კარლსრუე | 22 | 5 | 8 | 9 | 26:34 | 23 |
| ესენი | 24 | 4 | 11 | 9 | 28:39 | 23 |
| ერფურტი | 23 | 5 | 8 | 10 | 22:35 | 23 |
| ობერჰაუზენი | 23 | 6 | 5 | 12 | 27:45 | 23 |

## იტალია

**სერია B. XXIX ტური**

**ტრევიზო 3:0 ჯენოა**

1:0 გალეოტო (36), 2:0 ბარეტო (50), 3:0 გალო (64პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯენოა | 29 | 14 | 11 | 4 | 50:31 | 53 |
| ემპოლი | 29 | 13 | 11 | 5 | 42:24 | 50 |
| პერუჯა | 29 | 13 | 9 | 7 | 34:23 | 48 |
| ტორინო | 29 | 14 | 6 | 9 | 32:24 | 48 |
| ტრევიზო | 29 | 14 | 6 | 9 | 37:30 | 48 |
| ვერონა | 29 | 13 | 7 | 9 | 50:36 | 46 |
| პიაჩენცა | 29 | 13 | 4 | 12 | 33:33 | 43 |
| ასკოლი | 29 | 11 | 9 | 9 | 41:40 | 42 |
| ალბინოლეფე | 29 | 11 | 8 | 10 | 40:34 | 41 |
| ტერნანა | 29 | 10 | 10 | 9 | 36:37 | 40 |
| ვიჩენცა | 29 | 11 | 6 | 12 | 46:47 | 39 |
| კატანია | 29 | 9 | 12 | 8 | 31:34 | 39 |
| ჩეზენა | 29 | 10 | 8 | 11 | 34:40 | 38 |
| ტრიესტინა | 29 | 10 | 6 | 13 | 33:40 | 36 |
| პესკარა | 29 | 8 | 12 | 9 | 30:37 | 36 |
| ბარი | 29 | 8 | 12 | 9 | 27:28 | 35 |
| მოდენა | 29 | 10 | 8 | 11 | 28:29 | 34 |
| სალერნიტანა | 29 | 8 | 9 | 12 | 34:40 | 33 |
| არეცო | 29 | 6 | 14 | 9 | 38:38 | 32 |
| კროტონე | 29 | 7 | 9 | 13 | 28:34 | 27 |
| ვენეცია | 29 | 4 | 10 | 15 | 22:40 | 22 |
| კატანძარო | 29 | 5 | 7 | 17 | 25:52 | 22 |

*„მოდენას" დაკლებული აქვს 4, „კროტონეს" — 3 და „ბარის" — 1 ქულა*

## ჩეხეთი

**გამბრინუს ლიგა. XVIII ტური**

**იაბლონეცი 1:1 სლოვაცკო**

1:0 მიხალეკი (47), 1:1 ორდოშ (61)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 18 | 14 | 3 | 1 | 37:12 | 45 |
| სლავია | 17 | 9 | 4 | 4 | 25:14 | 31 |
| ტეპლიცე | 17 | 8 | 7 | 2 | 17:13 | 31 |
| ლიბერეცი | 16 | 8 | 5 | 3 | 25:9 | 29 |
| იაბლონეცი | 17 | 7 | 6 | 4 | 19:15 | 27 |
| სიგმა | 17 | 8 | 2 | 7 | 19:18 | 26 |
| სლოვაცკო | 18 | 5 | 8 | 5 | 15:13 | 23 |
| ბანიკი | 17 | 5 | 7 | 5 | 19:22 | 22 |
| ზლინი | 17 | 5 | 6 | 6 | 17:21 | 21 |
| ბრნო | 17 | 5 | 4 | 8 | 14:24 | 19 |
| ბლშანი | 18 | 5 | 4 | 9 | 15:26 | 19 |
| დრნოვიცე | 16 | 4 | 5 | 7 | 17:20 | 17 |
| ბოლესლავი | 17 | 3 | 7 | 7 | 16:21 | 16 |
| ოპავა | 17 | 3 | 6 | 8 | 17:23 | 15 |
| პრჟიბრამი | 16 | 4 | 3 | 9 | 15:29 | 15 |
| ბუდეიოვიცე | 17 | 2 | 5 | 10 | 14:21 | 11 |

## სარბიელი და კროკო წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

**ინგლისი. ჩემპიონატი**

**12 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 3 | იფსვიჩი-ნოტინგემი | 1.65 | 3.3 | 5.0 | 1.1 | 1.24 | 1.98 |
| 18:00 | 4 | ბარნლი-როტერჰემი | 1.6 | 3.3 | 5.2 | 1.07 | 1.22 | 2.01 |
| 18:00 | 5 | ქრიუ-სანდერლენდი | 3.0 | 3.2 | 2.1 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 18:00 | 6 | სტოკი-შეფილდი | 2.15 | 3.3 | 3.0 | 1.3 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 7 | რედინგი-ვესტ ჰემი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 18:00 | 8 | პრესტონი-ვულვერჰემპტონი | 1.8 | 3.4 | 3.85 | 1.17 | 1.22 | 1.8 |
| 18:00 | 9 | ქპრ-უოტფორდი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 18:00 | 10 | ქოვენთრი-კარდიფი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 18:00 | 11 | პლიმუთი-ბრაიტონი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 18:00 | 12 | ლიდსი-ჯილინგემი | 1.65 | 3.4 | 4.6 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| 18:00 | 13 | უიგანი-მილუოლი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |

**ინგლისი. I ლიგა**

**12 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 16 | უოლსოლი-ბორნმუთი | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 18:00 | 17 | პიტერბრო-ბრედფორდი | 2.5 | 3.3 | 2.4 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| 18:00 | 18 | დონკასტერი-ბრენტფორდი | 2.15 | 3.3 | 2.9 | 1.3 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 19 | ბრისტოლი-ბარნსლი | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| 18:00 | 20 | უენსდი-ბლეკპული | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| 18:00 | 21 | ლუტონი-სუინდონი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 18:00 | 22 | ჰალი-ტორკი | 1.45 | 3.6 | 6.5 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 18:00 | 23 | ჰარტლპული-ტრანმერი | 2.15 | 3.2 | 3.0 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 18:00 | 24 | დონსი-პორტ ვეილი | 2.1 | 3.2 | 3.1 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 25 | რექსემი-ოლდემი | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 26 | ჩესტერფილდი-ჰადერსფილდი | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 27 | სტოკპორტი-კოლჩესტერი | 2.45 | 3.2 | 2.5 | 1.38 | 1.23 | 1.4 |

**ინგლისი. II ლიგა**

**12 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 29 | შრიუსბერი-მაკლსფილდი | 2.45 | 3.3 | 2.55 | 1.4 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 30 | სუონსი-როჩდეილი | 1.7 | 3.3 | 4.3 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 18:00 | 31 | დარლინგტონი-იოვილი | 2.5 | 3.2 | 2.45 | 1.4 | 1.23 | 1.38 |
| 18:00 | 32 | ლეიტონი-კემბრიჯი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 18:00 | 33 | ბერი-როვერსი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 34 | უიკომბი-ჩესტერი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 18:00 | 35 | სკანთორპი-ჩელტენემი | 1.7 | 3.2 | 4.5 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 18:00 | 36 | ბოსტონი-გრიმსბი | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 18:00 | 37 | ნოტსი-კიდერმინსტერი | 1.7 | 3.4 | 4.5 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 18:00 | 38 | საუთენდი-ლინკოლნი | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 18:00 | 39 | მენსფილდი-ოქსფორდი | 1.95 | 3.2 | 3.4 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 40 | რაშდენი-ნორთჰემპტონი | 2.7 | 3.2 | 2.3 | 1.46 | 1.24 | 1.33 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)**

**9 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 578 | ჰერტა(მ)-დორტმუნდი(მ) | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 21:30 | 579 | უნიონი-კილი | 2.6 | 3.3 | 2.3 | 1.45 | 1.22 | 1.35 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

**9 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 116 | პაშინგი-მატერსბურგი | 1.45 | 3.8 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 20:30 | 117 | ადმირა-რაპიდი | 3.7 | 3.2 | 1.85 | 1.71 | 1.23 | 1.17 |

**ესპანეთი. II დივიზიონი**

**9 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 571 | კორდობა-ეიბარი | 2.8 | 2.7 | 2.55 | 1.37 | 1.33 | 1.31 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

**11 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 224 | გენიონი-შატორუ | 2.0 | 2.8 | 3.6 | 1.16 | 1.28 | 1.57 |
| 22:00 | 225 | გრენობლი-ბრესტი | 2.05 | 2.7 | 3.6 | 1.16 | 1.3 | 1.54 |
| 22:00 | 226 | რეიმსი-დიჟონი | 2.15 | 2.7 | 3.4 | 1.19 | 1.31 | 1.5 |
| 22:00 | 227 | ლე ავრი-სედანი | 2.6 | 2.7 | 2.7 | 1.32 | 1.32 | 1.35 |
| 22:00 | 228 | კლერმონი-ანჟე | 2.1 | 2.7 | 3.5 | 1.18 | 1.31 | 1.52 |
| 22:00 | 229 | გენგამი-ლავალი | 2.2 | 2.8 | 3.2 | 1.23 | 1.3 | 1.49 |
| 22:00 | 230 | ამიენი-ლორიანი | 2.15 | 2.7 | 3.4 | 1.19 | 1.31 | 1.5 |
| 22:00 | 231 | ნიორი-ნანსი | 2.9 | 2.6 | 2.5 | 1.37 | 1.34 | 1.27 |
| 22:30 | 232 | ლე მანი-მონპელიე | 1.95 | 2.7 | 4.0 | 1.13 | 1.31 | 1.61 |

**14 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 233 | კრეტეი-ტრუა | 2.8 | 2.6 | 2.55 | 1.34 | 1.33 | 1.28 |

**ბელგია**

**I დივიზიონი**

**9 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 561 | მონსი-სერკლი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 22:30 | 563 | ბეერსხოტი-გენკი | 3.5 | 3.3 | 1.9 | 1.69 | 1.23 | 1.2 |
| 22:30 | 564 | ბევერენი-ოსტენდე | 1.75 | 3.4 | 4.1 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| 22:30 | 565 | ბრიუგე-ბრიუსელი | 1.1 | 6.5 | 15.0 | 1.0 | 1.02 | 4.53 |
| 22:30 | 566 | ბრიუგე-ბრიუსელი | 1.25 | 4.5 | 4.3 | | | |
| 22:30 | 567 | სტ.ტრუიდენი-ლიერსი | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| 22:30 | 568 | ვესტერლო-ლოკერენი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO
BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI

10
42 00 24
+%

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 15:00 | 312 | ისთანბული-ანკარაგიუჯიუ | 2.15 | 3.2 | 2.95 | 1.28 | 1.24 | 1.53 |
| 17:30 | 313 | ბეშიქთაში-გენჩლერი | 1.4 | 3.8 | 7.0 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 404 | მონაკო-პსვ | 1.9 | 3.2 | 4.0 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 22:45 | 405 | იუვენტუსი-რეალი | 2.1 | 3.2 | 3.3 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 22:45 | 406 | ლევერკუზენი-ლივერპული | 1.8 | 3.4 | 4.15 | 1.17 | 1.25 | 1.86 |
| 22:45 | 407 | არსენალი-ბაიერნი | 1.75 | 3.4 | 4.5 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 408 | ლილი-ოსერი | 2.0 | 3.0 | 3.8 | 1.2 | 1.31 | 1.67 |
| 22:45 | 409 | შახტარი-ალკმაარი | 1.7 | 3.4 | 4.8 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| 22:45 | 410 | პარტიზანი-ცსკა | 2.4 | 3.2 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 22:45 | 411 | სევილია-პარმა | 1.6 | 3.5 | 5.5 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 22:45 | 412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 2.1 | 3.2 | 3.3 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 22:45 | 413 | სტიაუა-ვილიარეალი | 2.7 | 3.1 | 2.5 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| 22:45 | 414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 1.8 | 3.2 | 4.4 | 1.15 | 1.27 | 1.85 |
| 18:00 | 420 | აუსტრია-სარაგოსა | 2.4 | 3.2 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| | | **საბერძნეთი. თასი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 580 | არისი-კალამარია | 1.5 | 3.5 | 5.5 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 17:00 | 581 | ლარისა-ქსანთი | 2.6 | 3.1 | 2.4 | 1.41 | 1.24 | 1.35 |
| | | **რუსეთი. თასი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 16:00 | 417 | ზენიტი-ყუბანი | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| 16:00 | 418 | როსტოვი-სატურნი | 2.45 | 3.0 | 2.7 | 1.34 | 1.28 | 1.42 |
| 16:00 | 419 | დინამო-კრილია | 2.2 | 3.0 | 2.9 | 1.26 | 1.25 | 1.47 |
| | | **როიალ ლიგა** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 569 | რუსენბორგი-მალმიო | 1.75 | 3.5 | 4.0 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| 22:30 | 570 | გიოტებორგი-ბრანი | 1.85 | 3.4 | 3.75 | 1.19 | 1.23 | 1.78 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 572 | სან რაულუ-უნივერსიდადი | 1.25 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.0 |
| 23:45 | 573 | სტ ანდრე-სერო | 1.8 | 3.3 | 3.7 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| 23:45 | 574 | პალმეირასი-ტახირა | 1.15 | 5.9 | 10.0 | 1.0 | 1.03 | 3.71 |
| 23:45 | 577 | სან ლორენსო-კობრელოა | 1.3 | 4.2 | 8.5 | 1.0 | 1.12 | 2.81 |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 575 | კილმესი-სტრონგესტი | 1.35 | 4.0 | 7.5 | 1.0 | 1.14 | 2.6 |
| 23:45 | 576 | ამერიკა-ატლეტიკო პრ | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 13:00 | 545 | ს.იულაევი-ლადა | 4.0 | 4.4 | 1.45 | 2.09 | 1.06 | 1.09 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10404 | მონაკო-პსვ | 2.3 | 2.0 | 4.0 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10405 | იუვენტუსი-რეალი | 2.5 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.49 | 1.23 |
| 10406 | ლევერკუზენი-ლივერპული | 2.3 | 2.0 | 4.0 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10407 | არსენალი-ბაიერნი | 2.1 | 2.2 | 4.4 | 1.07 | 1.42 | 1.46 |
| 10408 | ლილი-ოსერი | 2.6 | 2.1 | 3.6 | 1.16 | 1.5 | 1.32 |
| 10409 | შახტარი-ალკმაარი | 2.35 | 2.0 | 4.3 | 1.08 | 1.51 | 1.36 |
| 10410 | პარტიზანი-ცსკა | 2.9 | 2.0 | 3.2 | 1.18 | 1.52 | 1.23 |
| 10411 | სევილია-პარმა | 1.9 | 2.1 | 4.8 | 1.0 | 1.36 | 1.46 |
| 10412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 2.6 | 2.1 | 3.6 | 1.16 | 1.5 | 1.32 |
| 10413 | სტიაუა-ვილიარეალი | 3.2 | 2.0 | 2.95 | 1.23 | 1.53 | 1.19 |
| 10414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 2.3 | 2.0 | 4.2 | 1.06 | 1.48 | 1.35 |
| 10420 | აუსტრია-სარაგოსა | 2.9 | 2.1 | 3.0 | 1.21 | 1.47 | 1.23 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12404 | მონაკო-პსვ | 1.6 | 2.1 |
| 12405 | იუვენტუსი-რეალი | 1.6 | 2.1 |
| 12406 | ლევერკუზენი-ლივერპული | 1.7 | 1.9 |
| 12407 | არსენალი-ბაიერნი | 1.7 | 1.9 |
| 12408 | ლილი-ოსერი | 1.55 | 2.2 |
| 12409 | შახტარი-ალკმაარი | 1.9 | 1.7 |
| 12410 | პარტიზანი-ცსკა | 1.6 | 2.1 |
| 12411 | სევილია-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 12412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 1.6 | 2.1 |
| 12413 | სტიაუა-ვილიარეალი | 1.6 | 2.1 |
| 12414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 1.7 | 1.9 |
| 12420 | აუსტრია-სარაგოსა | 1.6 | 2.1 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11404 მონაკო-პსვ | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11405 იუვენტუსი-რეალი | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11406 ლევერკუზენი-ლივერპული | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11407 არსენალი-ბაიერნი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11408 ლილი-ოსერი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11409 შახტარი-ალკმაარი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11410 პარტიზანი-ცსკა | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 11411 სევილია-პარმა | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11412 ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.8 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11413 სტიაუა-ვილიარეალი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11414 მიდლსბრო-სპორტინგი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11420 აუსტრია-სარაგოსა | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |

### რომელი გუნდი გავა შემდეგ ეტაპზე

| | | | |
|---|---|---|---|
| 18404 | მონაკო-პსვ | 2.2 | 1.6 |
| 18405 | იუვენტუსი-რეალი | 2.4 | 1.5 |
| 18406 | ლევერკუზენი-ლივერპული | 3.4 | 1.3 |
| 18407 | არსენალი-ბაიერნი | 3.6 | 1.25 |
| 18408 | ლილი-ოსერი | 1.8 | 1.9 |
| 18409 | შახტარი-ალკმაარი | 1.5 | 2.05 |
| 18410 | პარტიზანი-ცსკა | 2.2 | 1.45 |
| 18411 | სევილია-პარმა | 1.45 | 2.35 |
| 18412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 2.0 | 1.6 |
| 18413 | სტიაუა-ვილიარეალი | 3.0 | 1.2 |
| 18414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 1.65 | 2.0 |
| 18420 | აუსტრია-სარაგოსა | 2.5 | 1.4 |

### ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16404 | მონაკო-პსვ | 1.35 | 2.6 |
| 16405 | იუვენტუსი-რეალი | 1.45 | 2.3 |
| 16406 | ლევერკუზენი-ლივერპული | 1.3 | 2.3 |
| 16407 | არსენალი-ბაიერნი | 1.25 | 2.5 |
| 16408 | ლილი-ოსერი | 1.4 | 2.3 |
| 16409 | შახტარი-ალკმაარი | 1.25 | 3.0 |
| 16410 | პარტიზანი-ცსკა | 1.6 | 1.85 |
| 16411 | სევილია-პარმა | 1.2 | 3.3 |
| 16412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 1.4 | 2.4 |
| 16413 | სტიაუა-ვილიარეალი | 1.85 | 1.65 |
| 16414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 1.3 | 2.55 |
| 16420 | აუსტრია-სარაგოსა | 1.6 | 1.9 |

### ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17404 | მონაკო-პსვ | 1.85 | 1.95 |
| 17405 | იუვენტუსი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17406 | ლევერკუზენი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17407 | არსენალი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17408 | ლილი-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17409 | შახტარი-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |
| 17410 | პარტიზანი-ცსკა | 1.85 | 1.95 |
| 17411 | სევილია-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17412 | ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17413 | სტიაუა-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17414 | მიდლსბრო-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17420 | აუსტრია-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |

| გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო) | კი | არა |
|---|---|---|
| 13404 მონაკო-პსვ | 1.7 | 1.9 |
| 13405 იუვენტუსი-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 13406 ლევერკუზენი-ლივერპული | 1.7 | 1.9 |
| 13407 არსენალი-ბაიერნი | 1.7 | 1.9 |
| 13408 ლილი-ოსერი | 1.7 | 1.9 |
| 13409 შახტარი-ალკმაარი | 1.7 | 1.9 |
| 13410 პარტიზანი-ცსკა | 1.7 | 1.9 |
| 13411 სევილია-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 13412 ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 13413 სტიაუა-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |
| 13414 მიდლსბრო-სპორტინგი | 1.7 | 1.9 |
| 13420 აუსტრია-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |

| რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება) | | |
|---|---|---|
| 14404 მონაკო-პსვ | 1.6 | 2.2 |
| 14405 იუვენტუსი-რეალი | 1.75 | 2.1 |
| 14406 ლევერკუზენი-ლივერპული | 1.65 | 2.3 |
| 14407 არსენალი-ბაიერნი | 1.65 | 2.3 |
| 14408 ლილი-ოსერი | 1.75 | 2.1 |
| 14409 შახტარი-ალკმაარი | 1.65 | 2.2 |
| 14410 პარტიზანი-ცსკა | 1.85 | 1.95 |
| 14411 სევილია-პარმა | 1.45 | 2.3 |
| 14412 ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 1.75 | 2.1 |
| 14413 სტიაუა-ვილიარეალი | 1.9 | 1.9 |
| 14414 მიდლსბრო-სპორტინგი | 1.65 | 2.3 |
| 14420 აუსტრია-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |

| რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15404 მონაკო-პსვ | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15405 იუვენტუსი-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15406 ლევერკუზენი-ლივერპული | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15407 არსენალი-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15408 ლილი-ოსერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15409 შახტარი-ალკმაარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15410 პარტიზანი-ცსკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15411 სევილია-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15412 ოლიმპიაკოსი-ნიუკასლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15413 სტიაუა-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15414 მიდლსბრო-სპორტინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15420 აუსტრია-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

CROCO BOOKMAKERS

კროკო

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრინის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# მეოთხე და სამართალი

## ნუგზარ კანდელაკმა აზერბაიჯანს „გალას" უღელი ჩამოხსნა

**ნუგზარ კანდელაკი ბაქოშიც ამტკიცებს, რომ მცოდნე მწვრთნელია და შარშან ბრაიკოვიჩისეული „დინამოს" ქართულ ფინალში დამარცხება შემთხვევითობა არ ყოფილა. მას აზერბაიჯანში გაცილებით ძლიერი კონკურენტი ჰყავს, ვიდრე „ბასკოს" თავკაცობისას ჰყავდა „დინამოს" სახით. რიმას კურტინაიტისის „გალა" გასულ შაბათამდე მსოფლიოში თუ არა, ევროპაში მაინც უნიკალურ გუნდად ითვლებოდა, რადგან აზერბაიჯანის ჩემპიონატში ერთი თამაშიც არ წაეგო. არადა, „გალა" უკვე მეოთხე წელია, არსებობს და ჩემპიონიც ისე ხდებოდა. წაგება რაა, 60 ქულაზე ნაკლებით თამაში არ მოუგია. ჰოდა, წაიქცა ეს ჩვენი „გალა" — ნუგზარ კანდელაკმა, რომელსაც „ნტდ-დევონში" 5 ბასოკელი ჰყავს წაყვანილი, შაბათს 82:78 დაამარცხა კურტინაიტისის ლეგიონერებით გაძეძგილი გუნდი და ამ დღეებში აზერბაიჯანში პირველი კაცია სპორტული გაგებით. კანდელაკი ახლახან დაინიშნა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად და „გალას" ძლევით ფედერაციის არჩევანის სისწორე ერთხელაც ცხადყო...**

— ეს სენსაცია იყო, ბაქოს საკალათბურთო სამყარო არ იჯერებდა, რომ რიმას კურტინაიტისის გუნდმა წააგო. — გვითხრა კანდელაკმა ბაქოდან — „გალა" შექმნის დღიდან დაუმარცხებელია აზერბაიჯანის ჩემპიონატში და, როგორც აქ ამბობენ, 70-80 ქულაზე ნაკლებით თამაში არ მოუგია.

**— ეგ როგორ, სწორედ თქვენს გუნდთან არ გაიმარჯვა წინა წრეში 18 ქულით?**

— ჩემი გუნდი, ცხადია, არ ითვლება, თორემ მასე ხომ დავამარცხეთ კიდეც.

**— ისე, როგორ მოახერხეთ, „გალაში" ხომ ცნობილი ლიტველი და ამერიკელი ლეგიონერები თამაშობენ...**

— ეს ლოგიკური იყო, რადგან ჩემი გუნდი თამაშიდან თამაშამდე პროგრესს განიცდიდა და რაც მთავარია, დარწმუნებული ვიყავი, რომ საბოლოოდ „გალას" დავმარცხდებით. თუ ეს შაბათს არა, მომავალ მატჩებში მაინც მოხდებოდა და კარგია, პლეი ოფის დაწყებამდე რომ მოვახერხეთ.

**— თქვენი გუნდის პროგრესი რაში გამოიხატებოდა?**

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც „გალასთან" წაგებული მატჩების ანგარიშებში. კურტინაიტისის გუნდს აქამდე სამჯერ შევხვდით და ანგარიშში სულ უფრო ნაკლები სხვაობით წავაგეთ. ამას გარდა, „გალა" დარწმუნებული იყო საკუთარ ძალებში და ჩვენთან რაიმე განსაკუთრებული ტაქტიკით არასდროს თამაშობდა. ჩვენ ვიყავით დაინტერესებულნი და სულ იმას ვფიქრობდი, რა დამეპირისპირებინა „გალასთვის".

**— ჰოდა, რა იყო ეს ეფექტური იარაღი?**

— დაცვაში თამაში. „დევონს" განვლილ მატჩებში შეტევაში პრობლემა არ ჰქონდა, 80 ქულას და მეტსაც ვუგდებდით „გალას", აი, დაცვაში კი გვიჭირდა, თუმც მხოლოდ ერთფეროვანი დაცვით რომ ვერ გავიდოდით ფონს, ესეც ცხადი იყო. მე რამდენიმე თავდაცვითი ვარიანტი მქონდა შემუშავებული, რომელსაც დროდადრო ვცვლიდი და გამარჯვებაც ძირითადად ამის წყალობაა.

**— კურტინატისმა არაფერი ილონა, თქვენ რომ ტაქტიკას ცვლიდით?**



— ათწუთეულის განმავლობაში რამდენჯერმე ვცვლიდი დაცვით განლაგებას და კურტინაიტისიც შესაბამისად წუთშესვენებებზე ცდილობდა შეტევის ეფექტური საშუალების მოძებნას. თუმც მე სწორედ წუთშესვენებისას შევცვლიდი ხოლმე დაცვით ტაქტიკას, როგორი წარმატებულიც არ უნდა ყოფილიყო ის. გალელები კონკრეტული რამისთვის რომ მოემზადებოდნენ, მოედანზე გამოსულებს სულ სხვა განლაგებით ვხვდებოდით.

**— ერთი სიტყვით, „დევონმა" უპირველესად უკეთესი ტაქტიკის წყალობით გაიმარჯვა...**

— რა დასამალია და სწორედ ეგ იყო მთავარი მიზეზი. კურტინაიტისმა ყველა საშუალება რომ ამოწურა, მერე ყველანაირ კომბინაციას უგანა და ინდივიდუალურ თამაშზე გადავიდა. „გალას" მოთამაშეები თავიანთ ამერიკელ ლიდერს ცალკე ტოვებდნენ, მთელი გუნდი მოედნის ცალ მხარეს გადაჯგუფდებოდა ხოლმე. ამერიკელს ერთი-ორი მეურვე რჩებოდა, რადგან განზე გასულ ხალხსაც ხომ სჭირდებოდა მცველი. ვერც ის შავკანიანი გახდა რამეს და ვერც ცნობილი ლიტველი სნაიპერი მინდაუგას ლუკმინასი. ამ უკანასკნელს წინა მატჩებში 25 ქულაზე ნაკლები არ ჩაუგდია ჩვენთვის, ახლა კი მხოლოდ ცხრას დავაჯერეთ.

**— ვის გამოარჩევთ თქვენიანთაგან?**

— 9 კაცით ვითამაშეთ და ყველამ დიდი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში. გამოსარჩევია ლაშა კეშელავას სიზუსტე, მან ექვსიდან ოთხი სამქულიანი ჩააგდო. ჟოლივეტ ტუჯანი ფარქვეშ იყო კარგი, ანატოლი ბოისა — დაცვაში, დავით ბერიშვილმა კი ყველაფერთან ერთად უმნიშვნელოვანესი საჯარიმოები ჩააგდო ბოლო წამებზე.

**— ამ მოთამაშეებს შარშან „ბასკოში" წვრთნიდით— შეიძლება, ითქვას, რომ „გალას" „ბასკომ" მოუგო?**

— იყო ისეთი ეპიზოდი, როცა მოედანზე ხუთივე ქართველი მყავდა, მაგრამ ეს შედარებით ცოტა ხნით, რადგან არც ბახშიევია ცუდი მოთამაშე, არც პაშაევი და არც უკრაინელი ნარივანჩიკი. მე ვალდებული ვარ, აზერბაიჯანელები ვათამაშო და ისინი ბევრ რამეში მეხმარებიან. ქართველებისთვის პირდაპირ მაქვს ნათქვამი, რომ ადგილობრივებსაც უნდა მივცე შანსი, ოღონდ როცა კრიტიკული მომენტია, პირველ რიგში ქართველებს ვენდობი.

**— „გალასთან" მატჩის კრიტიკულ მომენტს ხომ ვერ გაიხსენებდით?**

— ორი ქულით ვლიდერობდით და თამაშის დასრულებამდე 8 წამით ადრე ლუკმინაისი საჯარიმო ხაზზე დადგა. მაგრამ მოხდა პატარა სასწაული და გამოცდილმა სნაიპერმა პირველი სროლა ააცილა. აი, მეორე საჯარიმო კი ლუკმინისმა განზრახ გააცუდა, ეგება ბურთი ჩემიანებმა მოხსნან და ანგარიში გავათანაბროთო. არ გამოუვიდა და ირაკლი ბერიშვილზე დაჯარიმდნენ. ტყუპმა ორივე სროლა ჩააგდო და თამაშის ბედიც გადაწყდა.

**— მატჩის შემდეგ რა ხდებოდა, როგორ მოიქცა კურტინაიტისი?**

— ტრიბუნებიდან ყველა მოედანზე გადმოვიდა, ვინ გვკოცნიდა, ვინ ხტოდა, ვინ ზურგზე ხელებს გვიტყაპუნებდა. ხალხი უფრო გაოცებული იყო, ვიდრე „დევონის" გამარჯვებით გახარებული. საფინალო სირენა იყო და, კურტინაიტისთან მივედი, ხელი ჩამოვართვი და მან მომილოცა. მე ასეთი ტაქტიკა მაქვს: გინდაც დავმარცხდე, მაინც მე მივდივარ პირველი მეტოქის მწვრთნელთან ხელის ჩამოსართმევად. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ რაც მოიგებ, უფრო თამამად მიხვალ კოლეგასთან. აქამდე სამივე წაგებული შეხვედრის შემდეგ მე მივედი კურტინაიტისთან პირველი და შაბათს რომ მოვუგე, უფრო პირნათელი გამოვეცხადე ლიტველ მწვრთნელს საკუთარი გუნდის სათადარიგო სკამთან.

**— რას ნიშნავდა ნუგზარ კანდელაკისთვის ეს გამარჯვება?**

— სიტყვებით ვერ გამოვთქვამ იმ სიხარულს, „გალას" დამარცხებით რომ განვიცადე. ეს თამაში ძალიან ჰგავდა „დინამოსთან" ფინალური სერიის გადამწყვეტ მატჩს და შეიძლება ვთქვა, რომ არანაკლებად ბედნიერი ვიყავი „გალას" დამარცხების შემდეგ. არ ვიცი, როგორ დასრულდება აზერბაიჯანის პირველობა, მაგრამ აქედანვე ვიტყოდი, რომ მორალური ჩემპიონობა უკვე მოვიპოვეთ. „გალა" დიდი შეძლებისა და ძლიერი მოთამაშეების გუნდია და მათი თუნდაც ერთ მატჩში ძლევა, ბევრს ნიშნავს. მე დავპირდი „გალას", რომ დავამარცხებდი და ავასრულე კიდეც. ეს ბაქიაობა არ არის, რადგან ჩემი აქ ჩამოსვლის ერთადერთი მიზანი კურტინაიტისის გუნდის დამარცხება იყო.

**— მორალური ჩემპიონობა კარგია, მაგრამ მას ოფიციალური ჩემპიონობა ჯობს...**

— ამ გამარჯვებამ ძალიან დადებითად იმოქმედა ჩემს გუნდზე და, რა თქმა უნდა, ჩემპიონობის იმედიც გაგვიორმაგდა. „გალა" უძლეველი არ არის და ფინალში არცთუ ურიგო შანსი გვაქვს.

**— ახლა რა გეგმა გაქვთ?**

— აზერბაიჯანში რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა და 12 მარტს ნახევარფინალები იწყება. ჩვენი მეტოქე ბაქოს ბე-შე-ეა, რომელშიც რამდენიმე ქართველი თამაშობს. ფინალისტები რომ გაირკვევა, შემდეგ ერთთვიანი შესვენებაა, რადგან აზერბაიჯანის ნაკრები მუსლიმური ქვეყნების ოლიმპიადაზე გამოდის. მე ამ შესვენებით ვისარგებლებ და მარტის ბოლოსკენ თბილისში ჩამოვალ, სადაც კონკრეტულ გეგმას წარვუდგენ კალათბურთის ფედერაციას ახალგაზრდული ნაკრების მომზადებასთან დაკავშირებით.

**ირაკლი პერტაია**

# აბა, ვიზა მაჩვენე

## ცინცაძეს რუსში ვერ ცვლიან



**კვირას, „დინამო" — თსუ-ს მატჩზე ვერის ბაღის ტრიბუნაზე გიორგი ცინცაძე შევნიშნეთ. „ურალ გრეიტის" ქართველი ლეგიონერის ასეთ დროს თბილისში ხილვა, როცა რუსეთის ჩემპიონატი მიმდინარეობს, ცოტა უცნაურია და ჩვენც, ცხადია, დავინტერესდით. აღმოჩნდა, რომ საგანგაშო არაფერი მომხდარა და ცინცაძე თბილისში რუსეთის ვიზის გასახანგრძლივებლად იყო ჩამოსული. აი, რა გვითხრა მან...**

— ამას წინათ რომ ვიყავი თბილისში, ვიზის აღება ვერ მოვასწარი, რადგან ცსკა-დან დამირეკეს, „ურალ გრეიტის" ვარიანტიაო და მეც სასწრაფოდ მოსკოვში გავფრინდი.

**— თუ ვიზა ვერ აიღე, რუსეთში როგორ წახვედი?**

— ჩემს ვიზას მაშინ დრო ბოლომდე არ გასვლოდა, ახლა კი ახლის აუღებლად რუსეთში ველარ წავალ. დღე-დღეზე ველოდები და პერმში, სავარაუდოდ, 12 მარტს გავემგზავრები.

**— გამოდის, თამაში გაგიცდა...**

— არა, „ურალ გრეიტს" ისეთი კალენდარი აქვს, რომ თითქმის ერთი თვე ისვენებს. ევროტურნირებში მონაწილე გუნდებს ცალკე გრაფიკი აქვთ და ახლა ისე გამოვიდა, რომ ურალელები კარგა ხნით უქმობენ. მეც დრო ვიხელთე და ჩამოვედი.

**— „ურალ გრეიტში" იმედიანად მიხვედი, თუმც ვერც იქ გაშალე ფრთები...**

— საკმაოდ არეული ვითარებაა, ვერ გავიგე, ამ გუნდის ხელმძღვანელები რაზე აკეთებენ აქცენტს. ძალიან ბევრს აგებენ და მაინც ერთი მიმართულებით მიდიან. მე რამდენჯერმე საკმარისი დროით გავედი მოედანზე, მაგრამ თავი ალბათ იმიტომ ვერ გამოვიჩინე, რომ სხვა პოზიციაზე მათამაშებენ.

**— რატომ შეგიცვალეს ამპლუა?**

— იმიტომ, რომ რუსეთის ჩემპიონატის მატჩებში ერთ გუნდს მოედანზე სამ ლეგიონერზე მეტის ყოლის უფლება არ აქვს. „ურალ გრეიტში" გამთამაშებლად რუსი თამაშობს, ანუ მის ნაცვლად რომ შემიყვანონ, კიდევ ერთი ცვლილების განხორციელებაა საჭირო — სამიდან ერთი ლეგიონერი ხომ უნდა გავიდეს მოედნიდან. ამიტომაც მოედანზე უცხოელის ნაცვლად შევდივარ და ხან ორ, ხანაც სამ ნომერზე მიწევს თამაში.

**— მერე, არ ცდილობ, ამ პოზიციებს მოერგო?**

— კი ვცდილობ, მაგრამ მე გამთამაშებელი ვარ და მსროლელად, ანაც მსუბუქ ფორვარდად თამაში მიჭირს. ამ სეზონის მერე ალბათ უცხოეთში წავალ. ყოველ შემთხვევაში, რუსეთში ცსკა-ს გარდა არც ერთ გუნდში არ ვითამაშებ.

**ირაკლი პერტაია**

### NBA: რეგულარული ჩემპიონატი

7 მარტი

**მაიამი 108:100 ფილადელფია**
მაიამი: ვეიდი (32), ონილი (25)
ფილადელფია: აივერსონი (27)

**ჩიკაგო 90:85 მილოუკი**
ჩიკაგო: ჰაინრიხი (17), დაჰონი (13), ნოჩიონი (13), დევისი (6), კარი (16); გორდონი (11), ჰარინგტონი (8); იატკოვსკი (5), ჩანდლერი (1)
მილოუკი: რედი (26), უილიამსი (5), სმიტი (9), ნეისონი (13), გაძურიჩი (6); ფაჩულია (26 წუთი, 5 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი), სტრიქლენდი (13), კუკოჩი (8)

**დალასი 113:105 ტორონტო**
დალასი: დენიელსი (32), ტერი (23), ჰოვარდი (22)
ტორონტო: პეტერსონი (23), პალაჩიო (19)

**დენვერი 111:98 პორტლენდი**
დენვერი: ენტონი (24), პეროსნი (18), ელსონი (15)
პორტლენდი: სტუდემაიერი (24), მაილსი (16)

**კლიპერსი 102:105 მემფისი**
კლიპერსი: მეჯიტი (37), საიმონსი (18), ბრენდი (17)
მემფისი: რაიტი (23), კარდინალი (20), მილერი (17)

# დინამოს ფონდი აალორძინებს



ვაჟა ფილიპეანიშვილის ფოტო

**გუშინ** ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ ოფისში ამ კლუბის აღორძინების ფონდი დაფუძნდა. „დინამოს“ წინამძღოლმა გოჩა ძასოხოვმა კლუბში გაწევრიანებული ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენები ერთხელაც შეკრიბა და სიახლის შესახებ აცნობა, ბოლოს კი ფონდის შექმნის ოფიციალურ დოკუმენტს ყველამ ხელი მოაწერა.

„ყველაფერი, რაც თვეების წინ „დინამოს“ დაფუძნებისას ვთქვით, ახლა უფრო ადვილად შესრულდება — თქვა ძასოხოვმა — აღორძინების ფონდი პირველ რიგში ფინანსურ დახმარებას გაუწევს კლუბისთვის და ქვეყნისთვის საკეთილდღეო საქმეებს. აქამდეც არაერთხელ მითქვამს, ამ ეტაპზე მთავარი „დინამოსთვის“ ბაზების დაბრუნებაა. დრომ მოიტანა — ჩვენს ქონებას თავიდან ვიკანონებთ. უმეტესწილად შესყიდვით, თუმც არა უშავს. სიძნელეებს არ უნდა შევუშინდეთ. ძალიან სერიოზული გეგმები გვაქვს, რომლებიც ერთად დგომით უნდა შევასრულოთ. აღარ იქნება ცალ-ცალკე დაფანტული სპორტის სახეობები. „დინამო“ ძველებურად ყველას შემოიკრებს და იმედია, პროცენტებზე ლაპარაკიც ისტორიას ჩაბარდება.

...ფონდის წესდებაში ქართული სპორტის ასაღორძინებლად ბევრი საინტერესო მუხლი ჩაიდება. ეს სახელმწიფოებრივი საქმეა. ვამზადებთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმსაც, რომელიც „დინამოსა“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს ურთიერთობას დააკონკრეტებს“.

ფონდის დამფუძნებელი ბიზნესმენებიდან ძასოხოვის გვერდით კომპანია „ყაზბეგის“ პრეზიდენტი გოგი თოფაძე იდგა და ახალი წამოწყების მნიშვნელობაზე მანაც ისაუბრა:

„ქართული სპორტი „დინამოს“ გარეშე წარმოუდგენელია და სასიხარულოა, რომ გოჩა ძასოხოვის ინიციატივით ისტორია ცოცხლდება. ახლა ყველა ერთად უნდა დავდგეთ და პრობლემები მოვაგვაროთ. წინ ბევრი საქმეა, თუმც ამ შემთხვევაში ერთს გამოვარჩევ. წლების წინ საქართველოს დიდების მომტან სპორტსმენებს დღეს მინიმალური საარსებო პირობებიც კი არ აქვთ შექმნილი. რა უნდა იფიქრონ მათმა შემხედვარე ახალგაზრდებმა? მომავალ თაობას აღარ ექნება, იმის შიში, რომ ოცდაათი წლის შემდეგ მშიერი დარჩება“ — თქვა გოგი თოფაძემ.

ფონდის დაფუძნების დოკუმენტს პირველმა ხელი დარბაზში მყოფთაგან ერთ-ერთმა უპირველესმა დინამოელმა მზია ჯუღელმა მოაწერა, შემდეგ კი მას მაია ჩიბურდანიძე, რობერტ შავლაყაძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ლუკა კურტანიძე და სხვა მოქმედი თუ ვეტერანი სპორტსმენებიც მიჰყვნენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ჭიდაობა

# კლასიკური თეორია ჯერ ვივარჯიშოთ, შედეგი მერე იყოს

**დღეს** დილით საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრები ბულგარეთს გაფრინდა, სადაც შაბათ-კვირას სეზონის პირველ საერთაშორისო ტურნირზე გამოვა. ბეგი დარჩიას გუნდი სოფიურ პირველობას აპრილში ბულგარეთშივე გასამართი ევროპის ჩემპიონატის გენერალურ რეპეტიციად მიიჩნევს და აკი მწვრთნელმა ჩვენთან ინტერვიუშიც თქვა, ამ ეტაპზე მთავარი საშეჯიბრო გამოცდილების მიღებააო.

საევროპო შემადგენლობა ჯერ კიდევ წლის დასაწყისში, საქართველოს ჩემპიონატის შედეგებით გაცხადდა. სოფიაშიც სწორედ ჩემპიონთა შვიდეული წავიდა, თუმც ერთ წონაში — 84 კილოგრამში, ორი მოჭიდავე გვეყოლება. მართალია, მუხრან ვახტანგაძემ საქართველოს ჩემპიონატი გამოტოვა და ევროპაზეც ვერ იჭიდავებს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონის მიზანი შემოდგომაზე მსოფლიო პირველობისთვის ნაკრებში დაბრუნება ყოფილა და თადარიგიც აქედანვე დაუჭერია.

საუკეთესო შვიდეულში არც ოლიმპიადამოვლილი ირაკლი ჭოჭუა (55კგ) და აკაკი ჩაჩუა (60კგ) არიან. მათ წონებში სოფიაში ნაკრების დებიუტანტები, მირინ ნიშნიანიძე და დავით ბედინაძე იჭიდავებენ. სიახლეა მანუჩარ კვირკველიასა და ბადრი ხასაიას ახალ წონებში გამოჩენაც. თითო წონით მაღლა ეს ბიჭები საქართველოს ჩემპიონატზევე გამოვიდნენ და ოქროებიც მოიგეს. ახლა იგივეს უცხოურ ხალიჩებზეც შეეცდებიან.

**ოთარ მაღლაკელიძე**

| საქართველოს | ნაკრები |
|---|---|
| 55 კგ | მირიან ნიშნიანიძე |
| 60 კგ | დავით ბედინაძე |
| 66 კგ | მუხრან მაჭუტაძე |
| 74 კგ | მანუჩარ კვირკველია |
| 84 კგ | ბადრი ხასაია<br>მუხრან ვახტანგაძე |
| 96 კგ | რამაზ ნოზაძე |
| +120 კგ | მირიან გიორგაძე |





მანუჩარ კვირკველიამ და ბადრი ხასაიამ წონაში მოიმატეს

ხელბურთი

## საქართველოს XV ჩემპიონატი. მეორე წრე



# კარტები აირია

**გუშინ** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში უნდა დაწყებულიყო ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის „ბ“ ქვეჯგუფის მატჩები, მაგრამ იმის გამო, რომ „ბათუმი“ სათამაშოდ არ ჩამოვიდა, ყველაფერი აირია და კალენდარიც შესაცვლელი გახდა.

ბათუმელებმა, როგორც იტყვიან, შეჯიბრების ორგანიზატორებს კარტები აურიეს. არადა, ჩამოუსვლელობის რაობაზე ორიოდე დღით ადრე რომ ეცნობებინათ, ტურის განრიგი არ აირეოდა, თან იქნებ მათთვის სასიკეთო გამოსავალიც მონახულიყო.

„ბათუმის“ ჩამოუსვლელობამ გასულ შემოდგომაზე ძლივს ნორმალურად დაწყებული მთელი ჩემპიონატი დაალალატა. როგორც საორგანიზაციო კომიტეტისთვის შეუტყობინებიათ, მიზეზი ჩვეულია — უფულობა, მაგრამ ვფიქრობთ, აქ უფრო გუნდის ხელმძღვანელთა თავმოუბმელობაა. როგორც გვითხრეს, აჭარის სპორტის უფროსობა შეპირებია, ფული ახლა იშოვეთ და მერე გაგისტუმრებთო.

გასაგებია, ძნელია 15-კაციანი ჯგუფისთვის ერთი კვირით გამოსამგზავრებელი თანხის შოვნა, მაგრამ ერთხელ (პირველ წრეში) ეს ხომ შეძლეს.

ერთი სიტყვით, გუშინ თამაშები არ შედგა, დღეს კი შეცვლილი განრიგის თანახმად, 13 საათზე ერთმანეთს შეხვდებიან საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამული“ და ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის ჭაბუკთა გუნდი, შემდეგ კი მოედანზე გავლენ „ქუთაისი“ და „სამტრედია“.

**გია ახალაძე**

კრივი

# ვალოდიას ბელარუსი გამოუძებნეს

**დიდი** ხანია, რაც უკრაინელი ძმები, ვლადიმერ და ვიტალი კლიჩკოები ბრძოლებისგან უქმობენ და რინგს მხოლოდ ვარჯიშისას ეკარებიან. არ მოიძებნა კაცი, ვინც ვიტალისთან კრივს დათანხმდება, ვლადიმერის საქმე კი ცოტა უკეთაა.

უმცროსი კლიჩკოს მენეჯერი შელი ფინკელი აცხადებს, ამერიკაში მცხოვრები, წარმოშობით ბელარუსი სერგეი ლიახოვიჩი აღმოვაჩინე და ეგებ ვლადიმერთან ვაჩხუბო კიდეც, მითუმეტეს, სერგეის მენეჯერთან შეთანხმებას უკვე მივაღწიეთო.

თუ ბელარუსი დაიყოლიეს, მაშინ ის IBF ვერსიით ჩემპიონს, კრის ბერდს შეცვლის, რომელმაც უკრაინელთან ბრძოლა იუარა, მოტივი კი არ გაუმხელია.



ვლადიმერ ლიახოვიჩი

რა თქმა უნდა, ვალოდიას ბერდთან ჯახი უჯობდა, ეს უკანასკნელი უფრო სახელიანია, ვიდრე ლიახოვიჩი, თუმცა არც ბელორუსი გახლავთ ადვილად დასაგდები. ყოველ შემთხვევაში, 23 ბრძოლა გაუმართავს და აქედან 22 მოუგია, მათ შორის 14 — ნოკაუტით.

ახლა უფროს კლიჩკოზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ვიტალის მომავალი მოწინააღმდეგის ვინაობა ჯერაც ვერ გარკვეულა. ბოლო ვერსიით ის მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, ჰასიმ რაჰმანს უნდა შეხვედროდა, თუმცა რაჰმანის პრომოუტერი დონ კინგი გახლავთ — კაცი ახირებული და ხარბი. ამიტომაც მხარეები ბოლო მომენტში ჰონორარზე ვერ შეთანხმდნენ და მოლაპარაკება ჩაიშალა. ყველაზე რეალურ კანდიდატად ამჟამად ამერიკელი მონტე ბარეტი მოიაზრება.

ბოლოს იმასაც მოგახსენებთ, რომ უკრაინის პრეზიდენტმა ვიტალი კლიჩკო თავის შტატგარეშე მრჩევლად დანიშნა და უახლოეს მომავალში იუშჩენკომ თუ რომელიმე პოლიტიკური ოპონენტი ნოკ-დაუნში ან ნოკაუტში გაგზავნა, არ გაგიკვირდეთ.

**ლადო ფულუკიძე**

**დღეს** პარიზს ესტუმრება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 13-კაციანი შემფასებელი კომისია, რომელიც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ხუთი ქალაქის შესაძლებლობებს სწავლობს.

შეგახსენებთ, ეს ქალაქებია: მადრიდი, ლონდონი, ნიუ იორკი, პარიზი და მოსკოვი. ამათგან შემფასებელმა კომისიამ ამავე თანმიმდევრობით მოინახულა პირველი სამი ქალაქი, ახლა კი პარიზის ჯერიც დამდგარა, რომელიც, ექსპერტთა თქმით, ალბათ ამ კონკურსში გაიმარჯვებს და მესამედ უმასპინძლებს ოლიმპიურ თამაშებს.

პარიზმა პირველად 1900 წელს II ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა, ხოლო მეორედ VIII თამაშები მიიღო 1924 წელს.

ასე რომ, პარიზი ორგზის ოლიმპიური ქალაქია და ახლა კიდევ ერთხელ ცდილობს მისი მასპინძლობის უფლების მოპოვებას. თუმცა, იყო დრო, როცა პარიზს ოლიმპიური თამაშები გულზე სულაც არ ეხატებოდა. მაგალითად, 1910 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად განაცხადა, რომ „საფრანგეთის მთავრობა ოლიმპიურ თამაშებს არ ცნობს."

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების დამფუძნებელი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ფრანგი ბარონი პიერ დე კუბერტენი განაწყენებული წერდა:

„მსოფლიოში არის ადგილი, სადაც ოლიმპიურ თამაშებს გულგრილად ეპყრობიან. ეს ადგილია პარიზი."

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ახლა პარიზი და მთელი საფრანგეთი კიდევ ერთი ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე ოცნებობს. თუმცა, მას მოწინააღმდეგეები კვლავაც ჰყავს, მაგრამ ისინი ძალზე ცოტანი არიან — გამოკითხულთა სულ რაღაც 8 პროცენტი ილაშქრებს პარიზში ოლიმპიური თამაშების მიღების საწინააღმდეგოდ. კიდევ შვიდი პროცენტი ვერ გარკვეულა თუ საით ჯობს გადახრა. ოპონენტები ილაშქრებენ გადასახადების შესაძლო გაზრდის წინააღმდეგ, აგრეთვე სასტუმროებისა და რესტორნების გაძვირების საწინააღმდეგოდ. ზოგიერთი იმასაც შიშობს, რომ პარიზი ვერ გაუმკლავდება ოლიმპიური თამაშების ფინანსურ სიმძიმესო.



# პარიზელები: ოლიმპიური თამაშები ჩვენს გულებსა და სულებშია

საფრანგეთის მოსახლეობის დაახლოებით 85 პროცენტი მხარს უჭერს პარიზში ოლიმპიური თამაშების გამართვას. ისინი თავიანთ არგუმენტებს აძლიერებენ იმით, რომ ოლიმპიადა ქალაქსა და მთელ ქვეყანას ეკონომიკურ მოგებას მოუტანს, გააუმჯობესებს საფრანგეთის იმიჯს დანარჩენი მსოფლიოს თვალში და ხელს შეუწყობს სპორტის აღორძინებას.

„პარიზს სჭირდება ოლიმპიური თამაშები. ეს თამაშები პარიზს გარდაქმნის" — ამბობს ქალაქის მერი ბერტრან დელანო და იმედოვნებს, რომ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობით შემოვა 35 მილიარდი ევრო და გაჩნდება 50 ათასი სამუშაო ადგილი.

ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ პარიზის გამარჯვებაში დარწმუნებულნი თავიანთ არგუმენტებად იმასაც იშველიებენ, რომ ქალაქის სპორტული ბაზებისა და სატრანსპორტო სისტემის 90 პროცენტი სრულ მზადყოფნაშია. მათ დიდ პლიუსად მიაჩნიათ ისიც, რომ ოლიმპიური სოფელი პარიზის ცენტრში 10 ჰექტარზე იქნება გადაჭიმული.

როცა ამა თუ იმ ქალაქის მასპინძლობის შანსებზე საუბრობენ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმასაც, თუ ვინ არის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე. ამიტომაც ორიოდე სიტყვით შევჩერდებით „პარიზი 2012"-ის მეთაურ ფილიპ ბოდილონზე.

ახლა გვახსენდება ათენის ოლიმპიური თამაშები, სადაც ფილიპ ბოდილონი შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან და პარიზის საოლიმპიადო აგიტაციას ცდილობდა. მაშინ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებთან იგი ინგლისურად საუბრობდა, თუმცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალურ ენათა შორის მისი მშობლიური ფრანგულიცაა.

როცა ბოდილონის ძლიერ მხარეებზე მიუთითებენ, მისგან ადამიანებთან საერთო ენის გამონახვის უნარსაც ასახელებენ. განსაკუთრებით ძლიერ მხარედ უთვლიან იმას, რომ ბოდილონს აქვს საორგანიზაციო კომიტეტში ძველი გამოცდილებაც. 1980 წელს, როცა პარიზმა 1992 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის ბრძოლა ბარსელონასთან წააგო, ფილიპ ბოდილონი პარიზის საორგანიზაციო კომიტეტში მეორე პირი იყო, რის გამოც იგი თავის კოლეგებში ახლა ყველაზე გამოცდილია. თუმცა, იგი საუბრისას პარიზის სასარგებლოდ იშვიათად თუ ახსენებს იმას, რომ ამ ქალაქმა ოლიმპიურ თამაშებს ორჯერ უკვე უმასპინძლა.

ამას გარდა, ბოდილონი სატელევიზიო [illegible] ექსპერტი და პროფესიონალი დიპლომატია, რაც სოკ-ის დიდმოხელეებთან ურთიერთობაში მეორეხარისხოვანი რამ სულაც არ გახლავთ.

მაგრამ ოლიმპიური თამაშების მომხრეთა ჭირად კარგა ხანია პარიზში პროფკავშირების მიერ იგეგმება დიდი გაფიცვა და გამოსვლები, რაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელი კომისიის წევრთა ვიზიტს ხვალისთვის ემთხვევა, დღეს კი დემონსტრაციას აწყობენ ახალგაზრდები, რომლებიც განათლების რეფორმის წინააღმდეგ გამოდიან.

ქალაქის ხელისუფალნი ყოველივე ამით მეტად შეწუხებულნი არიან და ფიქრობენ, რომ პარიზის ოლიმპიურ მიზნებს ეს სულაც არ წაადგება. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც იმედიანად არიან და სტუმრებს ეგებებიან ნაირგვარი სარეკლამო პლაკატებითა და პოსტერებით, რომლებზეც ასახულნი არიან საფრანგეთის თვალსაჩინო სპორტსმენებიც.

ამასთან, პარიზმა გამოუშვა სპეციალური ოლიმპიური ბილეთების სერია, რომელიც პარიზის მეტროში სამგაზვროდაა განკუთვნილი. 10 მილიონი ბილეთი, რომელსაც ამშვენებს ლოგოტიპი წარწერით „პარიზი 2012", 16 თებერვალს გამოვიდა გაყიდვაში და მისი სრული რეალიზება 31 მარტს დასრულდება.

ასეთივე ინიციატივით გამოვიდნენ ფრანგი რკინიგზელებიც.

„ეს განსაკუთრებული შემთხვევაა და ჩვენ გადავწყვიტეთ შემოგთავაზოთ სპეციალური ბილეთები, რომლებიც დროთა განმავლობაში საკოლექციო იშვიათობა გახდება" — თქვა პარიზის სატრანსპორტო სისტემის ხელმძღვანელმა ჟილ ალინმა თავის სპეციალურ განცხადებაში.

„ოლიმპიური" ბილეთების ფასი არ განსხვავდება ჩვეულებრივისგან და იგი 1,4-ევროიანია. ამას გარდა, პარიზის მეტროში გავრცელდება ქალაქის სატრანსპორტო სისტემის 4 მილიონი ჯიბის სქემა, რომლებსაც ასევე ოლიმპიური სიმბოლიკა დაამშვენებს.

„ოლიმპიური თამაშები ჩვენს გულებსა და სულებშია " — ამბობენ პარიზელები.

**ავთანდილ გურასაშვილი**



ოლიმპიური ჩემპიონი ცურვაში ლაურა მანადუ ოლიმპიურ თამაშებს სარეკლამო პოსტერიდანაც უცხადებს სიყვარულს




ოლიმპიურ თამაშებს მთელი პარიზი ეფიცება სიყვარულს

# კალია და წელქვეშ დარტყმა საფრანგეთში გამოჩნდება
## კენიას დიაბაბასგან სწყენია

**კენია**, რომ მსოფლიო მძლეოსნობის ერთ-ერთი ბურჯი, საბადო და საყრდენია, დიდი მტკიცება არ ჭირდება, მაგრამ საკმარისია ესა თუ ის მსხვილი საერთაშორისო შეჯიბრება მოახლოვდეს, რომ ამ საყრდენსა და საბადოში ისეთი ამბავი იწყება თმა ყალყზე შეიძლება დაგიდგეთ — კენიელთა ნაკრებისთვის სპორტსმენების შერჩევა ყოველთვის დიდ ამბებთან არის დაკავშირებული. აი, მაგალითად, ახლოვდება მსოფლიოს ჩემპიონატი კროსში და ინებეთ, კრიტიკოსები ხმის ჩახლეჩამდე ამტკიცებენ, რომ 5 ათას მეტრზე რბენაში ოლიმპიური ვერცხლის მფლობელი ისაბელა ოჩიჩი შეჯიბრებაზე წასაყვანთა სიაში არ უნდა ჩაეწერათ. მიზეზი: ეროვნული მასშტაბის მოთელვაზე მან მხოლოდ და მხოლოდ მეჩვიდმეტე ადგილი მოიპოვა. გარდა ამისა, კრიტიკოსთა მტკიცებით, ნაკრების შემადგენლობის ორი კვირით ადრე გამოცხადება მეტისმეტად ნაჩქარევი ნაბიჯი იყო.

დიახ, კენიელებმა ნაკრების შემადგენლობა გასულ პარასკევს დაასახელეს, არადა ცხვირწინ ჰქონდათ კონკურენტების ეთიოპიელთა მაგალითი, რომელთაც გამოცხადებულ ნაკრებს სიტყვა წინასწარი დააყოლეს.

„როდესაც სპორტსმენები იგებენ რომ ნაკრებში მოხვდნენ, დუნდებიან, ამიტომ გუნდის წევრთა დასახელება შეჯიბრებამდე ერთი კვირით ადრეა ზედგამოჭრილი, მანამდე კი არაფრით არ შეიძლება" — განაცხადა კაპიტანმა ჩარლზ კამატიმ, 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულმა.

სამაგიეროდ, ისაბელა ოჩიჩის გუნდში შეყვანას მხარი დაუჭირა მწვრთნელმა ჯულიუს კირვამ:

„სამწვრთნელო ბანაკში ოჩიჩიმ დიდი პროგრესი გვაჩვენა. მოთელვაზე მას მუცელი სტკიოდა და ამიტომ, მინდა გითხრათ, რომ მე-17 ადგილზე გასვლის მიუხედავად ჩვენ მისი გვწამს".



ისაბელა ოჩიჩი




ტირუნეშ დიაბაბა

კირვას ოჩიჩი 19-20 მარტს სენტ ეტიენში დანიშნულ მსოფლიოს ჩემპიონატზე 8 კილომეტრზე სარბენად სჭირდება.

სხვა აზრის გახლდათ მავანი სრულიად ოფიციალური პირი, რომელმაც ბრძანა: „აი, რატომ გარბიან კენიელი სპორტსმენები სხვა გუნდებში. ნაკრებში ოჩიჩი კი არ უნდა აეყვანათ, არამედ მეშვიდე ადგილზე გასული დორის ჩანგეივო. ასეთი უსამართლობანი სპორტსმენების დემორალიზაციას იწვევს".

უცნაური თუ არა, საყურადღებო კი გახლდათ, რომ ხსენებულმა ოფიციალურმა პირმა ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავა. დავძინოთ, რომ კენიელი სპორტსმენების ემიგრაციას სპორტული უსამართლობის მიზეზით აქამდე არავინ ხსნიდა. აქამდე მიზეზად მარტივად და გასაგებად ფინანსურ პრობლემებს ასახელებდნენ.

სამაგიეროდ გადაწყვეტილება, რომელიც არავის გაუპროტესტებია, ნახევარმარათონის ორგზის ვერცხლის მედალოსნის, სუსან ჩეპკემეის ნაკრებს მიღმა დატოვება გახლდათ. ჩეპკემეი, შარშანდელი ნიუ იორკის მარათონის მეორეადგილოსანი, ცხრა დღის წინ პუერტო რიკოში 10 კილომეტრზე სარბენად არ წავიდა, მანამდე კი შეკრებაზე უკრა თანამემამულეებს წიხლი.

შეგახსენებთ, რომ შეკრებაზე უარის თქმის გამო ჩეპკემეი კენიელებმა თავიდან თითქოს დასაჯეს. უნდოდათ მისთვის ყველა საერთაშორისო შეჯიბრებისკენ გზა გადაეღობათ და ამ შეჯიბრებებში 17 აპრილს დაგეგმილი ლონდონის მარათონიც მოეყოლებინათ, მაგრამ დასჯიდან სულ რაღაც 48 საათში გადაწყვეტილება გადათქვეს — მეგობარს მძლეოსანთა, თუ ასე შეიძლება ითქვას, საძმო ამოუდგა მხარში და ფედერაციაზე გავლენა იქონია.

და მაინც, კენიის ნაკრები ძალიან ძლიერია. აქ არიან მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური ბრინჯაოს მფლობელი 5 ათას მეტრზე რბენაში ელიუდ კიპჩოგე, იმავე დისტანციაზე იუნიორთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი აუგუსტინ ჩოგე, თანამეგობრობის ჩემპიონი ისევ და ისევ 5 ათას მეტრზე სემი კიპკეტერი, არიან კამათი და აბრაჰამ ჩერონოც. ერთი სიტყვით, შარშან, ეთიოპიელებთან ბრძოლაში დაკარგული მსოფლიო ჩემპიონობის დაბრუნება ამ ქვეყნისთვის სრულიად რეალურია.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ შარშანდელი წარუმატებლობის [illegible] ლი ნაკრებში, რომელიც ნაირობიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით [illegible] კილომეტრში, ემბუში ვარჯიშობს, მაინც [illegible] ირენ ლემიკამ ამ თემაზე საუბრისას ძველი აღთქმაც კი მოიშველია. მან თქვა, რომ უფალი აღადგენს წლებს, რომლებიც კალიების და ტერმიტების გამო დაიკარგა. მწარედ ბრძანა კენიის მძლეოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავიდ ოკეიომაც: „ჩვენი გოგონები საქმით დაამტკიცებენ, რომ კვლავ მსოფლიოში საუკეთესონი არიან. ისინი წელსქვევით დარტყმას არ იკადრებენ".

წელსქვევით დარტყმად კი, ალბათ 5 ათას მეტრზე რბენაში ეთიოპიელი მსოფლიო ჩემპიონის ტირუნეშ დიაბაბას ნათქვამი შეფასდა, კენიელები ჩვენი მეტოქეები აღარ არიანო.

და ბარემ ორი სიტყვით ეთიოპიელებზეც ვთქვათ. როგორც მოგახსენეთ, მათ ჯერ მხოლოდ წინასწარი შემადგენლობა გამოაცხადეს, მაგრამ ამ შემადგენლობაში ყველაფერს თავი რომ დავანებოთ ვკითხულობთ 10 ათას მეტრზე რბენაში ოლიმპიური ჩემპიონისა და ორგზის მსოფლიოს რეკორდსმენის, კენენისა ბეკელეს გვარს. არადა, საინტერესოა, რომ ბეკელეს ეთიოპიურ მოთელვაში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია.

ეთიოპიელთა შორისაა ზემოხსენებული დიაბაბა, რომელიც 2003 წელს 18 წლისა უკვე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და დღემდე რჩება ყველაზე ახალგაზრდა სპორტსმენად, ვინც ამ ჯილდოს შესწვდა. 4 კილომეტრზე ირბენს მისი უმცროსი და ეჯეგაიეჰოუ დიაბაბა, ხოლო 8 კილომეტრზე გამოვლენ 10 ათას მეტრზე მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი ვერნეშ კიდანე, მესელეჩ მელკმაუ და 1996 წლის, ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი ვეტე ვამი.

**ტუტა სიხარულიძე**

# და ოსკარი გადაეცემა...
## სპორტული სამყარო 2004 წელს იხსენებს

**„ტურ დე ფრანსის"** ექვსგზის გამარჯვებული, ლენს არმსტრონგი და ვაჟ ჩოგბურთელთა რეიტინგში პირველი, როჯერ ფედერერი ერთმანეთის წლის სპორტსმენის წოდებას ეცილებიან. მათ გარდა ეგრეთწოდებულ სპორტულ ოსკარზე. ამერიკელი მოცურავე მაიკლ ფელპსი, მაროკოელი მძლეოსანი ჰიჩამ ელ გურუჯი, იტალიელი მოტომრბოლი ვალენტინო როსი და ფორმულა ერთის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი.



როჯერ ფედერერი

ფელპსმა ათენის ოლიმპიადაზე ექვსი ოქროსა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და იმავე აუზში გააუმჯობესა საკუთარი რეკორდი 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. რაც შეეხება ელ გურუჯის, იგი გახდა 1924 წლის პარიზის თამაშების, კერძოდ კი პაავო ნურმის შემდეგ პირველი ვინც წყვილი ოქრო მოიგო 1500 და 5000 მეტრზე რბენაში.

ქალთა შორის ტიტულისთვის იბრძვიან რუსი ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევა, ბრიტანელი კელი ჰოლმსი და შვედი კაროლინა კლუფტი. მათ გარდა „სპორტ-ოსკარების" ორგანიზატორები ასახელებენ ჩოგბურთში უიმბლდონის ჩემპიონ მარია შარაპოვას, შვედ მეგოლფეს ანიკა სორენსტამსა და ჰოლანდიელ ველომრბოლს ლეონიტენ ზეილაარდ ვან მოორსელს.

ისინბაევას და თვალსაჩინო წარმატებებს დიდი შეხსენება, ვფიქრობთ, არ სჭირდება. 2004 წელი მისთვის საგანგებო გახლდათ, ათენში ხომ ოლიმპიური ოქრო მოიგო და თავისი მეშვიდე მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა. ჰოლმსი ჩემპიონი შეიქნა 800 და 1500 მეტრზე რბენაში. კლუფტი, მოგეხსენებათ, ხუთჭიდში გახლდათ საუკეთესო, ხოლო მეგოლფე სორენსტამმა შარშან თავისი მეშვიდე დიდი ჯილდო მოიპოვა. 34 წლის ჰოლანდიელმა ველომრბოლმა კი 2004-ში თავისი მეოთხე ოლიმპიური ოქრო შეიმატა.

დაყავს თუ არა ნომინანტი ფეხბურთს? ასეთი ორია, მაგრამ ორივე გუნდი გახლავთ: ევროპის ჩემპიონი საბერძნეთის ნაკრები და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული „პორტუ". გუნდური აღიარებისთვის აგრეთვე იბრძვიან ფორმულა ერთის ჩემპიონი „ფერარი", ბეისბოლში მსოფლიო სერიის გამარჯვებული „ბოსტონ რედ სოქსი", კალათბურთში ოლიმპიური ჩემპიონი არგენტინის ნაკრები და რაიდერ ქაფის ევროტრიუმფატორი მეგოლფეთა გუნდი.

ჟიურის ორმოცი წევრი ამოირჩევს 2004 წელს ხელახლა გაბრწყინებულთა და დებიუტანტთა შორის საუკეთესოებსაც. ცერემონიალს დაესწრება 82 ქვეყნის 500 ჟურნალისტი.

გამარჯვებულებს დაასახელებენ 16 მაისს პორტუგალიის ქალაქ ეშტორილში.

**ტუტა სიხარულიძე**



ლენს ამსტრონგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მლოცველი ფანობა

ეს გოგონები კრიკეტის ფანები გახლავან და იმისთვის ლოცულობენ, რომ ინდოეთში პაკისტანის გუნდის ტურნე წარმატებული იყოს. სამმატჩა სერიის პირველი მატჩი ინდოთა და პაკისტანელთა შორის გუშინ დაიწყო, გოგოები კი სამშობლოდან, ქალაქ მულთანიდან აწვდიან ლოცვას საყვარელ გუნდს.



REUTERS მულთანიდან



REUTERS ნიუ-იორკიდან

# სტალონე კვლავ კრივშია

სილვესტრ სტალონე კრივის თემას მაინც არ ეშვება. „ენ-ბი-სის“ არხზე ახალი რეალითი შოუს „პრეტენდენტის“ პრემიერა იყო და ძველი როკი იქ, ნამდვილ დიდ ჩემპიონთან შუგარ რეი ლეონარდთან ერთად ვარსკვლავობდა.

# ამეთვისტო პრემიერს

იაპონიის პრემიერს, იუნიჩირო კოიძუმის ბრაზილიის დროშა და ბუნებრივი ამეთვისტოს ქვა უჭირავს. ეს ნივთები მას ბრაზილიელმა მარათონელმა, ათენის ბრინჯაოს პრიზიორმა, ვანდერლეი დე ლიმამ აჩუქა. ლიმა იაპონიაშიც მარათონის სარბენად იყო, ოღონდაც 33-ე კილომეტრზე ფინთათ შეიქმნა და მომჯობინებული იაპონელი ხალხის მადლიერი დარჩა.



REUTERS ტოკიოდან

# ლენსი იცინის

ახლა პარიზი-ნიცას ველოგარბენის დროა. მთლად ველოამინდი არ გახლავთ, მაგრამ დიადი ლენს არმსტრონგი მაინც კარგ ხასიათზეა. 4-კილომეტრიანი პროლოგი კი გერმანელმა იენს ფოგტმა მოიგო.





# ბიატლონური ოჯახი

ავსტრიაში ახლა სულ ბიატლონის შეჯიბრებებია და ესეც ბიატლონური ოჯახი: ნორვეგიელი გოგო ლივ გრეტე და ფრანგი რაფაელ პუასი თხილამურობა-სროლით დაოჯახებულნი გახლავან.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კვლაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge